№ 91
პარასკევი, 3 ივნისი

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 91
პარასკევი, 3 ივნისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 იანვრიდან წლის დამლევამდის 5 მ., 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი.

მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ.

(30—4)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და. ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 [illegible] -ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი კ. **გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

დედა ენა სკოლაში

—

ბევრი ისეთი რამ არის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რის შესახებაც ორი აზრის არსებობა შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში მაინც საბრძოლველ და საკამათო საგნად გადაქცეულა. სწორედ ასეთ საგნად არის გამხდარი დღეს ჩვენში დედა-ენა...

გვგონია, ყოველი საღის ჭკუის ადამიანი დარწმუნებულია, რომ აღზრდა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს. პედაგოგიური აქსიომაა, რომ სწავლას უნდა ჰქონდეს რეალური, თვალსაჩინო ხასიათი. გარემოცული საგნები და მოვლენანი წარმოადგენს პირველ მასალას, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი გონებრივი განვითარება მოსწავლისა. მოზარდი თაობისათვის საკითხავი მასალა უნდა ამოღებულ იყოს ნაციონალურ ლიტერატურის განძიდან; გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლება უნდა იწყებოდეს სამშობლოს აღწერით; ბუნების-მეტყველების სწავლებასაც გარემოცულ ბუნების გაცნობა უნდა ჰქონდეს დასაწყისად. სამშობლო კუთხე, მისი ბუნება, ისტორია, ლიტერატურა—არის ის საფუძველი, რომლის გარეშე შეუძლებელია საღი განვითარება. ყველაფერი ეს იმდენად საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ თავისთავად იგულისხმება. დედა-ენას იმდენად დიდი ფსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, რომ მის გარეშე საღი განვითარება წარმოუდგენელია. არც მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი პედაგოგი, რომელმაც სთქვას,—ბავშვი თავის ერს ჩამოაშორეთო, თავის ერს მოსწყვიტეთ და ისე გაზარდეთო.

მაგრამ, საუბედუროდ, რაც პედაგოგიისა და საზოგადოდ მეცნიერებისთვის საანბანო ჭეშმარიტებაა, იმას ხშირად დასცინის სინამდვილე, რეალური ცხოვრება. ხშირად ცხოვრება ჰქელავს იმას, რაც შეურყეველ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. განსაკუთრებით ითქმის ეს საერთაშორისო ცხოვრებაზე. ერთა დამოკიდებულებაში დღემდის გაბატონებულია უხეში სასტიკი ძალა. აქ არავითარ მოსაზრებას სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისას ადგილი არა აქვს. ბატონობს ის, ვინც ძლიერია, გამარჯვებულია ის, ვინც ძლიერია. და ვაი დამარცხებულს, ვაი დამორჩილებულს! მუდმივი დევნა, დამცირება, უბრალო თავმოყვარეობის შელახვა, განვითარების საქმეში ხელის შეშლა—ყველაფერი ეს მას გზაზე ხვდება. გაბატონებული კრიჭაში უდგას დამორჩილებულს და ცდილობს წინსვლის ყოველი საშუალება დაუხშოს. დღევანდლამდის ცხოვრების პროცესი სისასტიკის გზით მიდის. და ეს სისასტიკე იმდენად უფრო საგრძნობელია, იმდენად უფრო განმანადგურებელი და შეუბრალებელია, რამდენადაც გაბატონებული ველურია და განუვითარებელი.

ცხოვრების ასეთი მიმდინარეობა, ძალმომრეობაზე აგებულ ურთიერთობის არსებობა, გაკვეთილს გვაძლევს და შემდეგს ღონისძიებას გვიკარნახებს. გიმონავებენ განადგურებენ, გსურთ არსებობა?—იბრძოლეთ. ყოველსავე ზომას, ყოველსავე საშუალებას, რომელიც კი თქვენი არსებობის წინააღმდეგაა მიმართული და გიქადის თქვენის სამართლიან კულტურულ მისწრაფების დახშობას,—დაუპირდაპირეთ მთელი თქვენი ძალ-ღონე, გაუწიეთ წინააღმდეგობა. მით უმეტესად უნდა მოვიქცეთ ასე, რომ სამართლიანობის საფუძველზე აგებულ ბრძოლას საბოლოოდ უეჭველად გამარჯვება მოჰყვება შედეგად. ძალმომრეობა, დამონავება თანდათან ისპობა და მის ადგილს იჭერს ძმობა, საერთო სოლიდარობა...

სხვათა შორის, დამონავება ნიშნავს დამოკიდებულ ერის ეროვნულ კულტურისა და ენის დევნას. ყოველის გზით, ყოველის ღონისძიებით სდევნიან და სპობენ ყველაფერს, რასაც დამორჩილებულ ხალხის ეროვნული ხასიათი ამჩნევია. დამორჩილებულ ერის ენა იდევნება ყოველ დაწესებულებიდან; მას გაბატონებული ერი კერძო ცხოვრებაშიც ზიზღით უყურებს. ამის გამო იმართება ბრძოლა და ამნაირად კულტურული მოვლენა პოლიტიკურ ბრძოლის საგნად ხდება.

ყოველ ისტორიულ ბრძოლას სხვადასხვა მომენტი აქვს. არის დრო, როცა მებრძოლთა შორის გარეგნულად შედარებითი სიმშვიდეა, თითქოს ბრძოლის პროცესი დუღილშია; არის დრო, როცა ეს ბრძოლა გადმოხეთქს ხოლმე და მთელის თავის შინაარსით ყველასთვის შესამჩნევი და დასანახი შეიქმნება. და ვინც ასეთ დროს არ ისარგებლებს მოხერხებულ მომენტით,—ერთიორად გაიძნელებს შემდეგისთვის ბრძოლას.

დღეს რუსეთის ცხოვრებაში ფრიად საყურადღებო დრო დადგა. ძველი წყობილება ისეთ წერტილამდე მივიდა, რომ მისი ახლით შეცვლა ყოველ ეჭვს გარეშეა. ამ „ახალზე“ მაინცდამაინც დიდ იმედებს არ უნდა ვამყარებდეთ. ნურავინ იფიქრებს, „ახალ“ წეს-წყობილებაში დამოკიდებულ ერთა ეროვნული საჭიროებანი სავსებით იქმნეს დაკმაყოფილებულნი და [illegible] ეროვნული დევნა და დაბეჩავება...

დედა-ენის გაძევება სკოლიდან ნიშნავს მოზარდ თაობის გონებრივ დაძაბუნებას, დალაჩრებას, გონებრივ განვითარებისა და შემოქმედებითი ძალის შესუსტებას. რასაკვირველია, ვერც ერთი ერი გულ-გრილად ვერ დაუწყებს ცქერას თავის მოზარდ თაობის გონებრივ დაძაბუნებას...

გარდა ამისა, ამ მოვლენას მეორე მხარეც აქვს, რომელიც არა ნაკლებ საყურადღებოა. ყოველი ერი აუცილებლად საჭიროებს გონებრივ ძალას. ყოველ ერში ერთი ჯგუფი მთელ თავის სიცოცხლეს გონებრივ შრომაში ატარებს და ამ თავის გონებრივ შრომის ნაყოფს ხალხის უმრავლესობას უზიარებს. როცა სწავლება უცხო ენაზე სწარმოებს, ხალხს [illegible] ისეთი ნაწილი, რომელმაც გონებრივი მომუშავენი უნდა შექმნას. მცირდება რიცხვი ხალხისთვის გამოსადეგ ნასწავლ პირებისა. ხალხი თავის სამშობლო ენაზე აზროვნობს, ის საჭიროებს სამშობლო ენაზე განვითარებას, სამშობლო ენაზე მიწოდებულ გონებრივ საზრდოს. და ამ დროს კი „სწავლულ-განათლებულებს“ თავისი გონებრივი განძი ხალხისთვის უცხო ენასთან აქვთ შეკავშირებული და ამიტომ აღარ შეუძლიანთ მიაწოდონ თვის ერს ის ცოდნა რომელიც მათ ხანგრძლივის შრომით შეუძენიათ. ასეთ პირობებში, როცა ხალხს ხელოვნურად აკლებენ გონებრივ ძალას, შეუძლებელია ეროვნული განვითარება. თუ ხალხმა ბოლო არ მოუღო ამგვარ ვითარებას, მას, როგორც ერს, აუცილებლად მოელის სრული დაცემა და სრული განადგურება.

მაშ, დროა, ჩავუფიქრდეთ ჩვენს მდგომარეობას, დროა მოვსპოთ ის სისტემა, რომელიც გვიქადის სრულს გადაგვარებას. ქართულ სკოლაში ქართული ენა უნდა იყოს სწავლის საფუძველი. ამას მოითხოვს მოზარდი თაობის განვითარების ინტერესი; ამასვე მოითხოვს მთელის ერის ინტერესი, მთელის ხალხის კულტურულ წინსვლის უზრუნველყოფა.

ფინანსები და ხალხის წარმომადგენლობა

ყველა კონსტიტუციონურს სახელმწიფოში ფინანსიური მხარე უმთავრესი საკითხია, რომელსაც ხალხის წარმომადგენლობა მთელის უფლება-მოსილობით დაჰპატრონებია. ეს ასეც უნდა იყოს. და ყოველი სახელმწიფო, სადაც ხალხის წარმომადგენელთ სახელმწიფო ხარჯ-აღრიცხვაში გადამწყვეტი ხმა მოუპოვებიათ, ამ უფლების შერჩენას მთელის ძალ-ღონით ესარჩლება. არც ერთი კულტურულად განვითარებული სახელმწიფო არ უსპობს ხალხის წარმომადგენელთ ამ უფლებას. მხოლოდ სპარსეთი, ოსმალეთი, ჩინეთი და რუსეთია ამ მხრივ ჩამორჩენილი.

როდესაც დასავლეთ ევროპაში ძველი ბიუროკრატიული თუ პოლიციური წესწყობილება მეფობდა, ფინანსიური მხარე თვითნება მოხელეების ხელში მეტად კოჭლობდა და ხშირად მთელს სახელმწიფოს ნდობასა და კრედიტს უკარგავდა, აბრუს უტეხდა. აუარებელი ხარჯები და სახელმწიფო გადასახადი უმთავრესად მდაბიო, ღარიბ ხალხს აწვა კისერზე. თავად-აზნაურობა და სამღვდელოება კი, მრავალ უპირატესობითა და უფლებით აღჭურვილი, ფუფუნებასა და განცხრომაში იყო. ბიუროკრატია ანგარიშ-მიუცემლად, უკონტროლოდ ჰფლანგავდა სახელმწიფო ფულს თავის ნებივრობასა და ანგარებაზე. ხალხის თავისუფლების შებოჭვა-შებორკილებაზე იყო მიმართული მათი ზრუნვა და მეცადინეობა.

ცხადია, რომ გამათახსირებელი შედეგი ჰქონდა ასეთს მართვა-გამგეობას: უფლებითა და უპირატესობით მოსილი უმცირესობა პარპაშობდა; პოლიტიკურად და ეკონომიურად დამონებული უმრავლესობა კი წელში სწყდებოდა, სისხლად იცლებოდა. როდესაც სახელმწიფოს გაკოტრება მოადგებოდა კარზე, ან ახალი გადასახადები უნდა გაეწერათ გაფლანგულ ხაზინის შესავსებად, მთავრობა მხოლოდ მაშინ მოიწვევდა ხოლმე სეიმს, ერობის მოხელეთ, ფულიან ხალხს და „დახმარებას“ სთხოვდა. სხვა დროს კი ყველა მივიწყებული და მიჩრდილული იყო.

ავსტრიაში, კონსტიტუციის დამყარებამდე, 1859 წელს, სახელმწიფო ვალი 280 მილიონ ფლორინამდე ავიდა. მაგრამ დასავლეთ ევროპაში პირვანდელს რეჟიმს თანდათან ლილო გაუცვდა. დახავსებულმა მთავრობამ ძალა და გავლენა დაჰკარგა. მთელი თავის ძალ-ღონე, ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის მაგიერ, თავის უფლებისა და ბატონობის შერჩენას მოახმარა.

ასეთ პირობებში ქვეყანა ნორმალურს წრეს ასცდა, განვითარებას და წინსვლას ზურგი შეაქცია, ხალხის შემოქმედებითს ძალასა და უნარს ფრთები შეაკვეცა და ბრწყინვალე მომავლის იმედი ჩაუჩრდილა.

საჭირო იყო თავის დაღწევა ამ მომაკვდინებელ წეს-წყობილებისაგან, საჭირო იყო თვით ხალხს ეპატრონა თავის თავისათვის და ქვეყნის მართვა-გამგეობა თავის ხელში მოეკრიბნა. ხალხიც ამ ერთად-ერთს უტყუარს გზას დაადგა. უპირველესად, სახელმწიფო ფინანსების საქმეს ჩასჭიდა ხელი და მისი ჩარხი თავის სასარგებლოდ მოატრიალა. შეიქმნა ახალი დაწესებულებანი, შემუშავდა ახალი კანონები. კანონმდებლობის უფლება თვით ხალხმა მოიპოვა და მისი განხორციელება თავის წარმომადგენელთ მიანდო. მთავრობა კი შეიქმნა, მხოლოდ აღმსრულებელი ხალხის წარმომადგენელთაგან შემუშავებულ კანონებისა.

ამ დღიდან ხალხის წარმომადგენელთა-მიერ დაკანონებული და ხაზინაში შეტანილი არც ერთი კაპიკი [illegible] თვითნებურად ველარ დაიხარჯება. ხალხის წარმომადგენლები კონტროლს უწევენ სახელმწიფოს ყოველსავე შემოსავალ-გასავალს.

ამ დღიდან იწყება წესიერი და ნორმალური წინსვლა და განვითარება ევროპის სახელმწიფოებისა.

ამ თვალსაჩინო მაგალითის მერე, ნუ თუ არ უნდა ეცადოს ადამიანი, რომ ასეთი წეს-რიგი მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო ფინანსების მოხმარებისა ისეთს ქვეყნებშიაც დამყარდეს, სადაც დღემდე ისტორიას განუდევნია?...(„ნ.ე.“).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივნისი.

ლონდონი, 1 ივნისი. გუშინ ედინბურგში დიდი უწესოება მოხდა. ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პროფესორ დოვის დემონსტრაცია გაუმართეს აუდიტორიასთან. აუარებელმა სტუდენტმა მოიყარა თავი, დოქტორი კი არა სჩანდა. მაშინ სტუდენტები სადგომში ძალით შეიჭრნენ და იქაურობა დალეწეს. მოვიდა ასი პოლიციელი. სტუდენტები ესროდნენ მათ ფორთოხლებს, უმ კვერცხს და სხვა. პოლიცია მათ ჯოხებით დაერია. ბევრი სტუდენტია დაჭრილი; 6 კაცი დაიჭირეს. ერთი სტუდენტი ისე იყო ნაცემი, რომ გულ-წასული საავადმყოფოში წაიყვანეს.

სიმფეროპოლი, 31 მაისი. ფეოდოსიაში ნოქრები მოურიგდნენ ვაჭრებს და გაფიცვაზე ხელი აიღეს. სიმფეროპოლში ნოქრები არ გაფიცულან, რადგან ვაჭრებმა წინდაწინვე დაუთმეს ყველაფერი.

ვილნა, 1 ივნისი. გაიხსნა კრება ლიტვის ეპარქიის სამღვდელოებისა. კრება განიხილავს ზოგიერთ საკითხებს და, სხვათა შორის, თათბირებს სამღვდელოების დღევანდელ მდგომარეობაზე.

ლოძი, 1 ივნისი. ქარხნებში მუშაობა დაიწყო. შეიბლერის ქარხანაში 5,500 მუშა გამოცხადდა, გეიერისაში—3,500.

სიუზიუმი, 1 ივნისი. სიუზიუმის სადგურის მახლობლად, სიზრანოვ-ვიაზემსკის გზაზე, ციმბირის მეთერთმეტე სამხედრო-სასანიტარო მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. მიზეზი არ იციან. გზა შეაკეთეს.

ათინა, 31 მაისი (ჰავასი). დელიანისის მკვლელმა, ცნობილმა ბანქოს მოთამაშემ, განაცხადა, მინისტრი მისთვის მოვკალ, რომ მან ბანქოს სათამაშო სახლი დააკეტვინა და შური ვიძიეო.

კოსტრომა, 31 მაისი. გუშინ საგუბერნიო ერობის საგანგებო კრება შესდგა. კრებამ 18 თებერვლის რესკრიპტსა და მოსკოვის ერობის კრების დასკვნაზე ითათბირა. კრებამ გადასწყვიტა, რომ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა აუცილებლად საჭიროაო.

პეტერბურგი, 31 მაისი. მინისტრთა კომიტეტისა და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის შეერთებულ კრებაზე გადასწყვიტეს, ამ ზაფხულსვე შეუდგნენ პერმ-კუნგურ-ეკატერინბურგის რკინის გზის გაყვანას.

ვაშინგტონი, 1 ივნისი. აქაური დიპლომატები ჰფიქრობენ, რომ რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად უთუოდ ჰააგას ამოირჩევენ, რადგან ჰააგა ძლიერის სახელმწიფოს სატახტო ქალაქი არაა და მასზე დიპლომატიურ გავლენას ვერავინ იქონიებსო.

ბერლინი, 1 ივნისი. ნეგუს მენელიკმა იმპერატორს საჩუქრები გარდასცა—უმაღლესი ორდენი, ეთიოპიური ოქროს ვარსკვლავი, ბრილიანტებით მოჭედილი, სუფხოვნა ხავერდის ტანისამოსი, ცხენი, ორი ჯვარი ძველებურ ხელოვნებისა, რომელსაც კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

როგორც სტოკჰოლმიდან ისმის, შვედ სოციალ-დემოკრატებს დეპეშით უცნობებიათ ქრისტიანიაში: მანიფესტს გამოვცემთ, სადაც ნორვეგიელების მეცადინეობას ღირსეულად ვაფასებთ, და შვედ მუშა-ხალხს ვურჩევთ, ნორვეგიელ მუშებთან მშვიდობიანი შეთანხმება იქონიონო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

1 ივნისი.

ტოკიო, 31 მაისი. აქ გრძელდება მინისტრთა და უმაღლესს მოხელეთა რჩევა. რა წამს პეკინში ცნობა მოვიდა, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოო, ჩინეთის კაბინეტი მაშინვე მოსალაპარაკებლად შეიკრიბა. სამკურნალო გემი „ორიოლი“ იმიტომ დაიჭირეს, რომ ამ გემზე იყვნენ კაპიტანი და ოთხი მატროსი ბრიტანიის გემის „ოლდგამია“-სი, რომელიც ბალტიის ესკადრამ კუნძულ ფორმოზას ახლო შეიპყრო. სამკურნალო გემი „კოსტრომა“ გაანთავისუფლეს. პორტ-არტურის სამკურნალო გემი „მონგოლია“ რუსეთს დაუბრუნდება.—სასებოდან ნაგასაკში მოსული 123 რუსის სალდათი დღეს შანხაიში წავიდნენ. ჩრდილოეთ კორეაში რუსებმა მდ. ტუმენისკენ დაიწიეს. 2,000 [illegible] 4 ესკადრონით და 4 ზარბაზნით, მტრის ძებნა მოინდომა, მაგრამ ღამე უკან დაიხია.

მოჯი, 30 მაისი. რუსებმა გირინ-ჩანჩუნის გზაზე წინ წაიწიეს. მუკდენთან დამარცხების ზარალი ცოტად შეავსეს, თუმცა მთელი ჯარი 350 ათასს არ აღემატება. რამდენსამე წყებად მიდის მაშველი ჯარი რუსეთიდან, თუმცა ბრძოლის ველამდე მისვლა იმათი მოიგვიანებს. თითქმის იაპონელებზე მიტანილი ყველა იერიში უწესრიგო იყო და იაპონელების მიერ მარჯვედ მოგერებულ იქმნა. ორივე ჯარის ავანგარდი 2½ მილზეა ერთმანეთზე დაშორებული. გენერალმა ლინევიჩმა მთავარ სადგომად გირინი აირჩია. მისი ჯარის უმეტესი ნაწილი ამ არემარეზე იყრის თავსა. ბრძოლის ველზე საქმე მალე შეიცვლება.

საიგონი, 1 ივნისი (ჰავასი). მაშველი კრეისერი „ყუბან“-ი დილით წმიდა იაკობის კონცხს მიადგა. კოხინხინის გუბერნატორმა საფრანგეთის სამხედრო გემი გაჰგზავნა კონცხთან, რომ ნეიტრალიტეტის წესები დაცულ იქმნას.

ჩიტიაზა, 1 ივნისი. როგორც ამბობენ, ხუნხუზთა რაზმები, ხუთას-ხუთასი კაცი, გირინის მახლობლად გაჩერდნენო. ზოგი ამბობს, ეს იმ ჯარის მოწინავე რაზმებია, რომელიც კორეიდან მოდისო, ზოგი კი იმ აზრისაა, რომ ეს უმთავრეს ჯარის მოწინავე რაზმებია. ამით უნდათ, რომ ჩვენის ჯარის უკანა რაზმებს მივაქციოთ ყურადღება და ამ რიგად ფრონტი შევასუსტოთო.

პეტერბურგი, 1 ივნისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 31 მაისს: „29 მაისს ჩვენ ბრძოლის შემდეგ დავიჭირეთ სოფლები სიფანტაი, რომელიც მდებარეობს ნახევარ გზაზე სიმიოჩენიდან ჩანტუფუსკენ, შილიპუ და ბახენძი. იმავე დროს ბახენძისთან მოვიდა მეორე რაზმი. იაპონიის როტამ, რომელსაც თხრილები ეჭირა, სამხრეთ-დასავლეთით დაიწია, სადაც მათ მიეშველა იაპონიის ბატალიონი ტყვიისმტყორცნელებით. მტრის რაზმი მანდარინის გზაზე გამაგრდა, შინხუაგაის სამხრეთით. ჩვენი მოწინავე ნაწილი კვლავ გამოჩნდა შინხუაგაისკენ.

ნაგასაკი, 1 ივნისი. სამკურნალო გემი „კოსტრომა“ ტყვეობისაგან განთავისუფლდა და შანხაიში წავიდა. სამკურნალო გემის „ორიოლის“ საკითხი სასებოში გადაწყდება.

ტოკიო, 1 ივნისი (რეიტერი). იაპონიის გაზეთები გადაჭრით უარ-ჰყოფენ დროებით ზავის ჩამოგდებას, რომელიც ხელს შეუშლის მათის ჯარის სტრატეგიულ უპირატესობის შერჩენას ფიქრობენ, რომ მალე მოხდება დიდი ბრძოლა, რომლის შემდეგ გენერალი ლინევიჩი იძულებული გახდება უკან დაიწიოს და ომი რუსეთის ტერიტორიაზე გადაიტანის.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4-ზე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

რუსეთის ზარალი ზღვაზე. ომის დასაწყისს რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთში ჰქონდა 7 ჯავშნოსანი, 11 კრეისერი, 2 სანაღმო კრეისერი, 6 კანონერკა, 39 ნაღმოსანი და მრავალი სატრანსპორტო, საავადმყოფო და სავაჭრო გემი. როჟესტვენსკის ჰქონდა 11 ჯავშნოსანი, 9 კრეისერი, 8 ნაღმოსანი და მრავალი ტრანსპორტი და სანახშირე გემი. სულ 18 ჯავშნოსანი, 22 კრეისერი, 6 კანონერკა, 57 ნაღმოსანი და 60-მდე სხვადასხვა-ნაირი გემი. აქედან დაიღუპა და დატყვევებულ იქმნა 17 ჯავშნოსანი, 14 კრეისერი, 40-ზე მეტი ნაღმოსანი, 6 კანონერკა და 40-მდე სხვადასხვა-ნაირი გემი. დანარჩენები იარაღ-აყრილნი არიან და სანეიტრალო ნავთსადგურებში დგანან. ფასი დაღუპულ ესკადრისა დაახლოვებით: 17 ჯავშნოსანი (თითო საშუალოდ 10 მილიონი მანათი)—170 მილიონი მან.; 14 კრეისერი (თითო 5 მილიონი)—70 მილიონი; 40 ნაღმოსანი (თითო 300 ათასი)—12 მილიონი; დანარჩენი გემები—50 მილიონი; დაზიანებულ გემების ფასი და სხვა ხარჯი, სულ უკანასკნელი—200 მილიონი უნდა ვიანგარიშოთ. სულ 500—600 მილიონი მანათი მაინც გამოვა (რ.).

იაპონიის ფლოტის ზარალი. ომის დასაწყისს იაპონიას ჰქონდა 7 ჯავშნოსანი, 25 კრეისერი, 60-მდე ნაღმოსანი და მრავალი წვრილი გემი. მათი ზარალი: 2 ჯავშნოსანი, 4 მეორე ხარისხოვანი კრეისერი და მრავალი ნაღმოსანი. ფულად რომ ვიანგარიშოთ, 30—35 მილიონი მანათი. სამაგიეროდ, რუსებს წაართვეს 4 ჯავშნოსანი, რამდენიმე ნაღმოსანი და 50-მდე სხვადასხვანაირი გემი, სულ, დაახლოვებით, 100—120 მილიონ მანათად ღირებული. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, ადრე თუ გვიან, იაპონელები პორტ-არტურის ესკადრასაც ამოიღებენ და შეაკეთებენ, გამოვა, რომ იაპონელებს ერთი-ორად გაუძლიერდებათ ფლოტი. გამოდის, რომ ამ ომის დროს იაპონიას 200 მილიონამდე ღირებული ფლოტი შეუძენია, თვითონ კი მხოლოდ 30 მილიონად ღირებული გემები დაუკარგავს (რ.).

რამდენად დაუჯდა რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთი. 1858 წლიდან 1900 წლამდის ამურის ოლქმა რუსეთს ზარალი 33 მილიონი მანათი მისცა; პრიმორის ოლქმა—232 მილიონი; ამას ამ ფულის პროცენტიცა და ფლოტის შენახვის ხარჯიც რომ მივუმატოთ, გამოვა, რომ ამ ხანებში ეს ორი ოლქი რუსეთს დაუჯდა 305 მილიონ მანათად. ჯარისა, ახალშენებისა, კოლონიზაციებისა და სხვა წვრილი ხარჯი—100 მილიონი. მანჯურიის რკინის გზა დაჯდა 400 მილიონად. პორტ-არტურის გამაგრება და 1900 წლიდან 1904 წლამდის ხვადასხვა ხარჯი—500 მილიონი. სულ 1,300 მილიონი მანათი. დაღუპული ფლოტი ღირდა 600 მილიონად, ომი—1,000 მილიონი, სულ 3 მილიარდამდე მანათი. თუ ზავი ჩამოვარდა და იაპონიამ თავის სურკინის გზა და ლიაოდუნი და 2 მილიარდი კონტრიბუცია აიღო—რუსეთს ბიუროკრატიის თვითნებობა შორეულ-აღმოსავლეთში, სულ ცოტა, 7 მილიარდ მანათად დაუჯდება.

სახალინი, ვლადივოსტოკი და მანჯურია. „რასვეტი“-ში ერთი გენერალი სწერს: ამჟამად ზავი რომ ჩამოვაგდოთ, უეჭველად უნდა 1) დავანგრიოთ ვლადივოსტოკის ციხე და შორეულ-აღმოსავლეთში ფლოტი აღარ ვიყოლიოთ, ე. ი. ერთხელ და სამუდამოდ უარი ვსთქვათ შორეულ აღმოსავლეთზე; 2) დავცალოთ მანჯურია და იაპონელებს ვაჩუქოთ ის რკინის გზა, რომელიც რუსეთს რამდენიმე ასი მილიონი მანათი დაუჯდა; 3) იაპონიას უნდა დავუთმოთ სახალინი. ერთის შეხედვით, სახალინის დათმობა არც თუ ისე ძნელია. სანამ სახალინი რუსეთს ჰქონდა, რუსეთი იმ ბავშვსა ჰგავდა, რომელსაც ძვირფასი მარგალიტი მისცეს, მაგრამ რაკი სხვებმა დაინახეს, რომ მას ამ მარგალიტის მოხმარება არა სცოდნია, უკანვე წაართვეს. რუსებისთვის სახალინი დაწყევლილი, შეჩვენებული ადგილია. სახალინი რუსეთს ზარალის მეტს არაფერს აძლევდა. ამერიკელებმა კი იაპონიას წელიწადში ამ კუნძულის იჯარა 100 მილიონი შესთავაზეს. პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, 100 მილიონი 2 მილიარდის პროცენტს შეადგენს. მაშასადამე, სახალინის დათმობა 2 მილიარდის დათმობას უდრის; 4) იაპონიას რუსეთმა ფულად 2 მილიარდი მანათი უნდა გადაუხადოს. რუსეთი შინაც უნდა გაიყვლიფოს, საზღვარ გარედაც ისესხოს და ამოდენა ფული იაპონიას შესთავაზოს. მერე, რა გამოვა აქედან? ეს იმას უდრის, რუსეთმა რომ მშვენიერი ფლოტი ააშენოს და მერე იაპონიას დაუთმოს. 2 მილიარდ მანათით იაპონია 3 წლის შემდეგ შეიძენს:

მშვენივრად შეიარაღებულს და საუკეთესო სისტემით აშენებულს 100 ჯავშნოსანს (თითო 15 მილ. მანათი)	1500 მილ. მ.
100 პირველ ხარისხოვან კრეისერს (თითო 4 მილიონი) . .	400 მილ. მ.
და 200 კონტრ-ნაღმოსანს (თითო 500 ათასი მან.) . .	100 მილ. მ.
	სულ 2 მილიარდი მან.

იაპონიამ სახალინი ამერიკას რომ დაუთმოს და წელიწადში 100 მილიონი აიღოს, შორეულ-აღმოსავლეთში ისეთ ფლოტს შეინახავს, რომ ამომავალ მზის ქვეყანას ვერც ერთი სახელმწიფო ვეღარ დაუდგება წინ.

აი, რა მოელის იაპონიას მომავალში (რ.).

იაპონიის პრინცს არისუგავას ბერლინში დიდის ამბით დაუხვდნენ. იმ დროს ბერლინში ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი იყვნენ, მაგრამ ხალხი და თვითონ გერმანიის მეფეც არისუგავას გარდა სხვებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ქუჩები ხალხით სავსე იყო. ყველა „ბანზაი“-ს ყვიროდა. იაპონიის პრინცსა და მის მეუღლეს ეტლი ყვავილებით აუვსეს (რ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ქუთაისი, 2 ივნისი. ქუთაისში საერთო გაფიცვა არის. დუქნები დაკეტილია, ქუჩებში ეტლების მიმოსვლა შეწყვეტილია. ქუჩებში კაზაკები და ჯარები დადის. გუბერნატორის ბრძანებით, დაკეტილია ბულვარი და თეატრიც.

—

ქუთაისი, 2 ივნისი. დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, გაფიცვა დასრულდა.

—

ნახიჩევანი, 2 ივნისი. სომეხ-თათართა შეტაკების დროს ერთიანად გადაიწვა სოფელი

ერევანი, 2 ივნისი. ქალაქში სომეხ-თათართა შეტაკება ჯერეც არ მოსპობილა. აქა-იქ სროლა გაისმის. ხალხი მეტად შეშინებულია.

ახალი ამბავი

—

◆ გუშინ, 2 ივნისს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თ-დ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებთან ერთად, **კავკასიის ნამესტნიკთან იყვნენ თავად-აზნაურთა საქმეებზე მოსალაპარაკებლად.** ნამესტნიკმა, სხვათა შორის, ჩამოაგდო ლაპარაკი სამღვდელოების შესახებ და უთხრა: მე დიდად აღელვებული ვარ იმ სცენებით, რომელიც სემინარიის წინ კაზაკებსა და პოლიციელებს ჩაუდენიათ. სასტიკი განკარგულება მოვახდინე, რომ გენერალ ა. ა. სტახოვიჩის მეთაურობით შემდგარმა კომისიამ გამოძიება მოახდინოს. გთხოვთ თქვენც და ერთ სასულიერო პირთაგანს, მონაწილეობა მიიღოთ ამ კომისიაში, რომელსაც ამ საქმის გამოძიება მიანდეთ.

◆ სამღვდელოების კრება დასრულდა 31 მაისს. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც გაიგზავნება მინისტრთა კომიტეტში. სოფლის სამღვდელოება გუშინწინ თავ-თავის სახლებში წავიდა, დარჩნენ მხოლოდ ყველა საბლაღოჩინოს დეპუტატები—სამ-სამი მღვდელი და თითო დიაკანი. ამ დეპუტატებმა ოთხშაბათს, 1 ივნისს, ყარსისა, განჯისა და ალექსანდროპოლიდან ჩამოსულ სამღვდელოებასთან ერთად, სემინარიის სადგომში მოახდინეს კრება, მ. ციცქიშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ ერთხმად დაადგინა, აირჩიოს დეპუტაცია, **რომელიც უნდა წარუდგეს კავკასიის ნამესტნიკს და მოახსენოს 31 მაისს სემინარიის შენობასთან მომხდარი ამბავი.** კრებაზე, სხვათა შორის, აღიძრა საკითხი, მცხეთაში წავიდეთ და კრება იქ გავმართოთ, თორემ აქ არ ვართ უზრუნველ-ყოფილი ასეთი უსიამოვნება კვლავაც არ შეგვემთხვესო („ნ. ო.“).

◆ სამღვდელოების დეპუტაცია ნამესტნიკმა სალამოსთვის მიიწვია.

◆ გუშინ, 2 ივნისს, საქართველოს ეგზარხოსმა **სინ. კანტორაში დაიბარა სამღვდელოების ბის თავმჯდომარე ბლ. მღ. ციცქიშვილი** და კრების მოთავე მღვდლები. იმ დროსთვის ამავე კანტორაში შეკრებილნი იყვნენ ქართლ-კახეთის სასისხლო კონტორის პროკურორი, წევრნი, ბაქოს ბლაღოჩინი იუნიცკი და სხვა მახლობელნი პირნი.

◆ გუშინ სათავად-აზნაურო სადეპუტატო დარბაზში ვექილმა ი. ბარათაშვილმა თავშეყრილ ქართველ ინტელიგენციას წაუკითხა ის რეზოლუცია, რომელიც შემუშავებულ იქმნა **სამღვდელოების ცემისა გამო.** ყველა იქ დამსწრემ ხელი მოაწერა ამ რეზოლუციას.

◆ ქ. სოხუმის რამდენიმე მცხოვრებელმა **კავკასიის ნამესტნიკს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს:** 25 მაისს, სოხუმში, ქალაქ გარეთ, ყმაწვილებმა ჩვეულებრივი ბურთის თამაშობა გამართეს. მოთამაშეებს და მაყურებლებს სრულიად უმიზეზოდ დაეცნენ თავზე სტრაჟნიკები და მთვრალი მატროსები და დაუწყეს ხალხს ცემა. ამ დროს მოიჭრა ყაზახთა რაზმი და სტრაჟნიკები და გაქცეულს ხალხს თოფი დაუშინეს. მთვრალი მატროსები და სტრაჟნიკები დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა, ამტვრევდნენ დუქნებს და სახლებს, გამოჰყავდათ იქიდან ხალხი და ულმერთოდ სცემდნენ. ტყვიით მძიმედ დაჭრილია სამი კაცი, ხმლით, ხანჯლით, ქვით და მათრახებით დაჭრილი და დასახიჩრებულია რამდენიმე ათი კაცი. ბევრი ვერ გადარჩება. ქალაქის მცხოვრებნი სთხოვენ თქვენს ბრწყინვალებას, დანიშნოთ კომისია და გამოიძიოთ ეს საქმე („ჩერნ. ვესტ.“).

◆ ტფილისის გუბერნატორმა შემდეგი ოფიციალური **მოწერილობა მიიღო პეტერბურგიდან:** რადგანაც ამ ბოლო დროს პოლიციელებს მოსაკლავად არ ინდობენ, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, ამიერიდან ყველა პოლიციელს,—დიდსა და პატარას, ვინც კი სამსახურს ვეღარ შესძლებს იმ ჭრილობების გამო, რომელსაც ისინი მიიღებენ, დაენიშნება პენსიად თითქმის მთელის წლის ჯამაგირი მიუხედავად იმისა, დიდი ხანი მსახურებდა, თუ ცოტა. მათ ოჯახებსაც მათ სიკვდილის შემდეგ ერთ-დროულად თვის ჯამაგირი მიეცემათ და პენსიაც წესისა და რიგისამებრ დაენიშნებათო.

◆ ოთხშაბათს, 1 ივნისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით, **კრება ჰქონდათ ქალაქის განაპირა ადგილ «ვაკის» მამულებისა და სახლების პატრონთ,** რომელთაც თანხმობა განაცხადეს ქვით მოკირწყვლაში ქალაქს ნახევარ ხარჯში მიუდგნენ, დაუთმონ მიწის ნაჭრები ბაღისა და ბაზრისათვის და სხვა მიწის ნაჭრებიც სკოლისათვის შესწირონ; გარდა ამისა, არხები გააკეთონ იმ მთის ძირას, რომელიც ზარალს აყენებს წყალდიდობის დროს.

◆ დღეს, 3 ივნისს, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში დანიშნულია თავად-აზნაურთა შეუძლებელ **მოსწავლეთა დამხმარებელ კომიტეტის კრება.**

◆ თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე **კომიტეტმა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარუდგინა მომავალ** 1905—1906 სამოსწავლო **წლის ხარჯთაღრიცხვა** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენახვისა და სთხოვა, თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას წარუდგინეთ დასამტკიცებლადაო. კომიტეტი სკოლის შესანახად სთხოვს სულ 90,305 მან. 36 კაპ; თანაც აცნობებს, ხარჯებმა ძალიან იმატა იმ მიზეზებით, რომ მეოთხე გიმნაზიურ კლასთან დავაარსეთ საპარალელო განყოფილება, ძველ მასწავლებლებს სახლის ქირების ფასი მივეცით, ექიმს და დაბალ მოსამსახურეებს ჯამაგირები მოვუმატეთ და, გარდა ამისა, საერთო გაფიცვების გამო ჩამოვარდნილმა სიძვირემ არა ნაკლები ზეგავლენა იქონია ჩვენს ბიუჯეტზეო.

◆ ტფილისის აფთიაქის პატრონებმა ხელი მიჰყვეს **ფარმაცევტებისა და აფთიაქის შეგირდების გამოძევებას**—გაფიცვებში მეთაურობა რათ იკისრეთო. ჯერ-ჯერობით დაუთხოვნია მეაფთიაქე ზემელს 4, ოტენს 1, ბაზიეროვს 2, სულ 7 კაცი. თანაც იძახიან თურმე, «ტუზემცების» რიცხვი ნახევარზე ნაკლებ უნდა დავიყვანოთო.

◆ **რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება მომავალ წელს მართავს** ტყავის, ბეწვის, ფრთის და ამათგან გაკეთებულ ნივთების გამოფენას. გამოფენაზე ექსპონატების გაგზავნა ამა წლის პირველ ივლისიდან უფასოდ მიიღება.

◆ გუშინ, 2 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ მე-4-ე ნაწილის **ბოქაული ბაჩურინი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნაო.**

◆ რედაქციამ მიიღო „ნაკადულის“ მე-XIV (მაისის) ნომერი მცირე წლოვანთათვის.

◆ „კავკ.“-ს ერევნიდან **დეპეშებით ატყობინებენ:** 31 მაისს ქ ერევანში, სომხების ტაძარში და მეჩეთში, გარდაიხადეს წირვა და შემდეგ მოედანზე, მთავრობის თანადასწრებით, ეპარქიის უფროსმა და შეიხ-ულ-ისლამმა ხალხს სიტყვით მიმართეს. ხალხი საჯაროდ ფიცულობდა, უწესოებას აღარ მოვახდენთო. შეიხ-ულ-ისლამი ხალხის წარმომადგენლებთან ერთად 1 ივნისს ეჩმიაძინში აპირებს წასვლას.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, 25 მაისს, ღამის პირველ საათზე, [illegible] ზე სამჯერ მოისმა ხუმბარის ხმა ალავერდის [illegible] დირექტორის პალმარის სახლთან. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, დიდი ორ-სართულიან სახლის თავზე, კედელში, დირექტორის ოთახთან, ვიღაცეებს სადინამიტო პატრონები ჩაუდვათ. კაცი არავინ მომკვდარა, მხოლოდ მთელი კედელი ჩამოინგრა.

◆ ქ. ყაზახიდან გაზ. „მშაკს“ ატყობინებენ, რომ მაზრის უფროსის კანცელარიის ერთმა მოსამსახურეთაგანმა აცნობა მაზრის უფროსს არნოლდს, რომ სომეხ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი დაბანაკებულია ერთ მთაზე და არ უშვებს არც ერთ თათარს, რომ კარავი დასდგასო. ამ დროს იმავე თათრების მხრივ მაზრის უფროსთან მისულა რამდენიმე თათარი და უთქვამს, ეს ამბავი სიცრუეაო. საქმე ასე ყოფილა: თათრების საქონელი შესულა სომხების მინდორში და ბალახი გაუფუჭებია. სომხებსაც შეუპყრიათ საქონელი, რომ თავიანთი ზარალი აენაზღაურებინათ. მაზრის უფროსს არნოლდს შეურიგებია ორივე მხარე.

ამავე დროს სომხებსა და თათრებს შეუპყრიათ ერთი „შეითანთაგანი“, რომელიც თურმე ხალხში ცუდ აზრებს ავრცელებდა, და მიუყვანიათ მაზრის უფროსთან, რომელსაც უბრძანებია მისი შეპყრობა. ეს კაცი სოფლის მწერალი ყოფილა, რუსი, რომელიც, დიდი ხანია, დათხოვნილი ყოფილა სამსახურიდან და „შეითანობა“ დაუწყია. ამბობენ, რამდენიმე „შეითანი“ მისულა თათრებთან.

◆ თეირანიდან გაზ. «მშაკს» ატყობინებენ, რომ ახალ-ჯულფაში (სპარსეთი) მეფის რუსეთის კონსულის ბრძანებით, გააუქმეს იქაური სომხური ერთად-ერთი გაზეთი „ახალ-ჯულფის მთამბე“. ადგილობრივ სომხებს მიუმართავთ სპარსეთის მთავრობისთვის და უთხოვნიათ, განკარგულება გამოსცეს, რომ გაზეთი ისევ გახსნდესო.

◆ რადგანაც სამაზრო სამხედრო საკრებულოებმა **არეულობის გამო ვერ წარმოადგინეს** საგუბერნიო სამხედრო საკრებულოში **სიები იმ ყმაწვილკაცებისა,** რომელნიც უნდა გაეწვიათ სამხედრო სამსახურში, საგუბერნიო სამხედრო საკრებულომ შეაკრთა წარსულ სამის წლის გაწვეულთა რიცხვი და ერთად წარუდგინა მთავარ შტაბს. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ ქ. ტფილისიდან წელს გაიწვევენ 604 ყმაწვილ კაცს, ტფილისის მაზრიდან—736, ახალქალაქიდან—815, ახალციხიდან—379, ბორჩალოდან—1053, გორიდან—2158, დუშეთიდან—962, სიღნაღიდან—1108, თელავიდან—731 და თიანეთიდან—293 კაცს.

სამღვდელოების კრება

31 მაისი.

სამღვდელოების 31 მაისის კრებაზე ერთ საყურადღებო საკითხთაგანს დღევანდელ სასულიერო სასწავლებლების სისტემის განხილვა შეადგენდა. კრებაზე ნათლად გამოირკვა სრული მავნებლობა ახლანდელ უვარგის სასულიერო სასწავლებლისა: სამრევლო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიისა. კრებამ ერთხმად დაადგინა, მოისპოს ეხლანდელ წესით არსებული სასწავლებელნი, როგორც თანამედროვე ცხოვრებასთან შეუფერებელნი. ამას შემდეგ კრებამ დაადგინა, ტფილისში დასტოვოს დეპუტატები, რომელთაც სამღვდელოების საქმეებზე უნდა იბაასონ. ყველა მღვდლებს, რომელთაც კრებაზე დასწრება უნდათ, ამის უფლება მიეცეთ.

სადამოს კრება, 31 მაისს, ერთობ საუბედურო გამოდგა. რვა საათზე თავმჯდომარემ კრება გახსნა და სამღვდელოებას წინადადება მისცა, ყველამ ხელი მოაწეროთ დეპუტატთა სიას და გადმოგვეცითო. ბევრმა მღვდელთაგანმა სთხოვა თავმჯდომარეს, ნება მოგვეცით სხვა საჭირ-ბოროტო საკითხები განვიხილოთ, მით უფრო, რომ დრო გვაქვსო, მაგრამ თავმჯდომარემ „მოულოდნელის გარემოების გამო“ კამათის ნება არ მისცა. კრება დაიშალა. მღვდლების უმრავლესობა გამოვიდა სემინარიის შენობიდან და

ფელეტონი

დაღესტნის ავ-კარგი

—

მოკლედ რომ განვიმეოროთ ის, რაც წინა წერილებში იყო ნათქვამი დაღესტნის მდგომარეობაზე, შემდეგი უნუგეშო სურათი წარმოგვიდგება: თითქმის მთელი დაღესტნის მიწა-წყალი ხაზინის საკუთრებას შეადგენს და გლეხობას, რომელიც მცხოვრებთა 94 პროცენტია, მიწა აქვს მიჩენილი მხოლოდ სახმარებლად, რისთვისაც მის განსაკუთრებულ ღალას ახდევინებენ. თუმცა სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა, რომელიც გლეხობის ხელში ითვლება, სივრცით საკმარისათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, რადგანაც ნიადაგი მოუსავლიანია, უწყლობის გამო, წლის მოსავალი გლეხებს შუათანად მხოლოდ იანვრამდის ყოფნით. ამავე გლეხობას აწევს მრავალგვარი გადასახადი და ნატურალური ბეგარა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში აგდებს მას. ყოველსავე ამას აგვირგვინებს სრული ადმინისტრატიული თვითნებობა, რომელიც გამეფებულია არა მარტო მართვა-გამგეობაში, არამედ თვით სამსჯავროშიაც. ხალხის ჯანმრთელობასა და განათლებაზე არავინ ფიქრობს და ზრუნავს...

ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში ჩაყენებული მხარე საშინელ სურათს წარმოადგენს თავის უკიდურეს გონებრივ და მატერიალურ სიღატაკით მკვიდრნი ისე არიან გაბრუებულნი და ღონე მიხდილნი ასეთ აუტანელ მდგომარეობით, რომ მათ არ ძალუძთ მოითხოვონ ცხოვრების პირობების შეცვლა, რომელნიც ისეთნაირად ავიწროვებს მათ, რომ თვით იმედსაც უკარგავს უკეთეს მომავლისას. რაც დრო მიდის, ხალხი თანდათან უარეს მდგომარეობაში ვარდება. საჭიროა დახმარება სწრაფი და რადიკალური და არა ისეთი პალიატიური, როგორიც ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო კომიტეტს უცვნია საკმარისად.

მართალია, სასოფლო სამეურნეო კომიტეტების მთავარმა გამგეობამ უკვე უდროვოდ განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა, მაგრამ მაინც საინტერესოდ ვთვლით მკითხველისთვის ადგილობრივ კომისიის შრომას, ვინაიდან ეს უკანასკნელი სავსებით ადმინისტრაციის ნაწარმოებია.

როდესაც გამოცხადდა დებულება ადგილობრივ სამეურნეო კომიტეტების მოწყობისა და მათი პროგრამა,—მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ორგანიზაციაში, ისე პროგრამაში მრავალი ნაკლულევანება აღმოჩნდა,—მაინც, როგორც მართებლობის პირველი ნაბიჯი მცხოვრებთა საჭიროების გაგებისა, სიხარულით იქმნა მიღებული უმრავლესობის-მიერ. ერთი რუსი პუბლიცისტი იმ დროს სწერდა: მართებლობა სცდის რუსეთის მცხოვრებთ,—მართლა შეგნებული აქვთ თავისი საჭიროებანი, თუ არაო. მართლაც თითქმის არ დარჩენილა კუთხე ვეებერთელა სახელმწიფოში, რომელსაც არ აღძვროდეს თავის ჭირ-ვარამის გამომჟღავნების სურვილი, მხოლოდ ყოველივე ვერ ითქვა სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად, ვინაიდან ზოგიერთ ადგილობრივ კომიტეტებში წევრებათ მოხელეები იყვნენ მიწვეულნი. ამას გარდა, ზოგიერთ კომიტეტებს „ნასტავლენიები“, ცირკულიარები და სხვა მრავალ-გვარი „ოგრანიზაციები“ მოსდიოდათ როგორც ეს მიღებულია ბიუროკრატიის-მიერ. განსაკუთრებით ასეთი „ოგრანიჩენიები“ კავკასიის კომიტეტებს მოსდიოდა მთავარმართებლისაგან. მაგალითად, ქუთაისის ადგილობრივ კომიტეტში ერობის საჭიროებაზე კრიტიკაც არ დააძრევინეს წევრებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთ, რომელნიც თავმჯდომარეებად იყვნენ დანიშნულნი კომიტეტებში, არაფრად ეჭაშნიკებოდათ მათდამი ჩაბარებულ კუთხის ნაკლულევანებათა გამომჟღავნება, რის გამო ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს მათი მეცადინეობა,—რაც შეიძლება, შეეკვეცათ ფრთები წევრების სურვილისათვის. ამავე განზრახვით, სადაც კი მოსახერხებელი იყო, თავმჯდომარე ადგილობრივ კომიტეტში მხოლოდ მოხელეებს იწვევდა.

ამ მხრივ ძალიან თავისებურად უნდა ჩაითვალოს დაღესტნის კომიტეტის ორგანიზაცია—კომიტეტი თითქმის სულ ერთ პირად შემდგარი იყო ადმინისტრაციის მოხელეებისაგან, ე. ი. თავმჯდომარის პირდაპირ ხელქვეითებისაგან. მხოლოდ, ამათ გარდა, კომიტეტში ითვლებოდა ერთი ხარჯის ამკრები, ერთი „ტყის რევიზორი“, ერთი ადგილობრივი ბაღის პატრონი,—სამხედრო სამსახურში ნამყოფი სომეხი, და ერთიც ტარასარნელი მემამულე,—ესეც სამსახურ გარეშე მყოფი როტმისტრი. მართალია, დაღესტანი ძლიერ ღარიბია საზოგადო დაწესებულებებით, მაგრამ, სულ რომ არა იყოს-რა, მასში სამი ქალაქი ითვლება, სადაც შემოკლებული თვითმართველობა მოქმედობს. ამ ქალაქების წარმომადგენელთა მოწვევა მაინც შეეძლოთ.

ამნაირად შემდგარმა კომიტეტმა, რასაკვირველია, სრულიად აუარა მხარი რუსეთს ადგილობრივ უკუღმართ ცხოვრების პირობებს და აღნიშნა მხოლოდ წვრილმანი ნაკლულევანებანი. აღნიშნა ორიოდე საზოგადო ხასიათის საჭიროებაც, მაგრამ მათი დაკმაყოფილება ადგილობრივ ადმინისტრატიულ წესით სცნეს საკმარისად. ამასთან არც ერთი საჭიროება არ არის სავსებით გარკვეული და დაკმაყოფილების საფუძველიც უვარგისადაა შემუშავებული.

მაგალითად, ავიღოთ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში. ამ კითხვისათვის ვერც ადგილობრივ კომიტეტს აუხვევია გვერდი, მხოლოდ აქაც პოლიტიკას უჩენია თავი. კომიტეტს უცვნია საჭიროდ, რომ ეს საქმე უვარგისად არის დაყენებული ამ მხარეში და უსათუოდ უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ მას მიზნად უდევს რუსული ლაპარაკისა და წერა-კითხვის გავრცელება მკვიდრთა შორის და არა საერთოდ განათლების გავრცელება. ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ პირველ დაწყებითი სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა სწარმოებდეს, მიუხედავად იმისა, რომ წინასიტყვაობაში აღნიშნულია,—სწავლა-განათლების გავრცელებას მცხოვრებთა შორის მასწავლებელთა ადგილობრივ ენის სრული უცოდინარობა უშლისო. შემდეგი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ბიუროკრატია მტკიცედ დგას თავის ადგილზე და არ აპირობს თავის გარდა მისცეს ვისმე რაიმე უფლება დაღესტანში: ერთ მუხლში გამოთქმულია საჭიროება წვრილი კრედიტისა, მხოლოდ ამნაირ კრედიტის დაწესებულებას იმავე ადმინისტრაციას აჩეჩებს ხელში: „რადგანაც მცხოვრებნი მოუმზადებელნი არიან, ბანკის ოპერაციების გაძღოლა ყოველ ოლქში ოლქის უფროსს უნდა დაევალოსო“.

ჩვენის ფიქრით, თუ კომიტეტს მართლა ჰქონდა სურვილი აღენიშნა ადგილობრივი საჭიროებანი, მას არ უნდა აეხვია გვერდი შემდეგ უმთავრეს ნაკლულევანებათათვის და მტკიცედ მოეთხოვა მათი მოშორება. 1) უმთავრეს საჭიროებას შეადგენს სასამართლოს მოწყობა, რისთვისაც უნდა იქმნეს მიღებული შემდეგი ზომები: ა) დაუყოვნებლივ სამსჯავრო ნაწილი განთავისუფლებულ უნდა იქმნეს ადმინისტრაციისაგან. ასეთ ცვლილების მოხდენას არავითარი კომისიები და კომიტეტები არ ესაჭიროება. საკმარისია მხოლოდ მარტივი განკარგულება, რომელიც ძლიერ უყვარს ჩვენს მთავრობას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც რამეს ანგრევს... სწორედ რომ ერთი კალმის მოსმით შეიძლება ეხლანდელ ოლქის უფროსების მაგიერ სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნოს იურისტი, თუნდ ჩვეულებრივი მოსამართლე. უეჭველია, რომ ამ გარეგან ცვლილებასაც თვალსაჩინო პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება; ბ) ადგილობრივი ადათები უნდა შეკრებილ იქმნას და მეცნიერულად გამოკვლეული და შემუშავებული, რითაც შეიძლება გამოირჩეს უვარგისნი, რომელნიც თანამედროვე ცხოვრების პირობებს არ შეეფერებიან; გ) ახლო მომავალში სრულიად უნდა გაუქმდეს ეხლანდელ სასამართლოების ორგანიზაცია და მის მაგიერ უნდა შემოღებულ იქმნას საერთო საიმპერიო ორგანიზაცია უსათუოდ ნაფიც მსაჯულების მონაწილეობით ყოველ-გვარ საქმეების გარჩევაში. ასეთ რეფორმის შემოღებისთანავე გაჰქრება ის არა-ნორმალური მოვლენა, რომელიც დაღესტნელს ჩადენილ დანაშაულობისთვის აგებინებს პასუხს სხვადასხვა კანონების წინაშე, იმის მიხედვით, თუ ვისთან ან სად შეხვდა მას ფათერაკი, რომლის გამო სამართალში იქმნა მიცემული. საქმის წარმოება უეჭველად ადგილობრივ ენაზე უნდა მოეწყოს, რათა სასამართლო განთავისუფლდეს თარჯიმანებისაგან. 2) დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ბატონყმობის ის ნაშთი, რომელიც სავსებით დაცულია 27,000 ადამიანისათვის, მით უფრო, რომ ბატონყმობა დაღესტანში თვით მთავრობამ შემოიტანა. 3) სახელმწიფო მიწები, რომელნიც გლეხებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ, მათ საკუთრებად უნდა იქმნეს აღიარებული, მით უმეტეს, რომ არც ისე ბევრი დრო გასულა მას აქეთ, რაც ეს მიწა-წყალი მცხოვრებთა საკუთრებას შეადგენდა და მხოლოდ მაჰმადის სახელით ჩამოერთვა მათ. 4) რაც შეიძლება, მალე უნდა იქმნას შემოღებული ერობა, რომელსაც უნდა დაევალოს ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება და არა „სტრაჟნიკების“ შენახვა და ჯარებისათვის ბინების შენება, და სხვა და სხვა. წოდებრივი ერობის შემოღება დაღესტანში ადგილობრივ პირობების გამო შეუძლებელია. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს წვრილ საერობო ერთეულებად დაყოფა სამაზრო ერობისა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს ერობა ადგილობრივ ენაზე მოაწყობს.

აი, ის ცვლილებანი, რომელთა შემოღება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დაღესტნის კულტურულ განვითარებისათვის. ადგილობრივ კომიტეტის რომელსამე წევრს რომ დაეკითხოთ,—რატომ არ აღნიშნეთ ეს საჭიროებანიო, გიპასუხებთ, რომ ეს შეუძლებელია,—ხალხი მოუმზადებელია, თითქმის ველურიაო და სხვ. ერთის სიტყვით, გეტყვით იმას, რაც მთელ რუსეთის ბიუროკრატიას აკრავს ენაზე.

მაგრამ ადგილობრივ კომიტეტის მოქმედებაში, რომელიც ადმინისტრაციის მოხელეებისაგან იყო შემდგარი, არაფერი მოულოდნელი არ ყოფილა.

სემინარიის წინ თათბირობდა იქ შეგროვილ ხალხთან ერთად. მალე ხალხი იძულებული შეიქმნა კაზაკებთან შეტაკების გამო გაქცეულიყო. შეშინებული სამღვდელოება უსწოროდ დაიფანტა აქეთ-იქით. უმრავლესობამ სემინარიის შენობაში შეასწრო, სადაც გარეშენიც შეეფარნენ. ზოგიერთ მღვდელთ გარდა, ყველას ბინა სემინარიის შენობაში აქვს და ამიტომ გარედ დარჩენილებმა განიზრახეს შიგ შესვლა, მაგრამ ვერ გაბედეს, რადგან სემინარიის შესავალს დარაჯობდნენ. გარედ დარჩენილი მღვდლები ზოგი სად წავიდა, ზოგი სად, ხოლო სემინარიაში მყოფ მბინარე მღვდელთა მყუდროება ღამის 12 საათზე კვლავ შეარყიეს და გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვნეს და წავიდნენ.

მეორე დღეს, 1 ივნისს, დილით, ზოგიერთი მღვდლები სოფელში წავიდნენ, უმრავლესობა კი დარჩა და სემინარიის შენობაში კრება გამართა. გარეშეები აღარ შეუშვეს. პოლიცია და კაზაკებიც სემინარიის წინ იდგნენ.

ქუთაისის ცხოვრება

საადგილ-მამულო ბანკის საქმეები.

დღეს, 28 მაისს, ქალაქის თეატრში დაიწყო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. 225 წევრთაგან კრებაზე ესწრება ასი რწმუნებული. კრება გახსნა თავმჯდომარედ არჩეულმა ს. დ. წერეთელმა. კრების განსახილველი საგნებია: წლიურ ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, ერთის დირექტორისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრის არჩევა, ხარჯთ-აღრიცხვა 1905 წლისათვის, განაწილება წლიურ წმინდა მოგებიდან 55%-სა საზოგადო საქმისათვის გადადებულ ფულიდან; შეცვლა და დამტკიცება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა.

დირექტორმა ვ. აბულაძემ კრებას წაუკითხა ბანკის გამგეობის ანგარიშის მაგვარი მრავალ, ციფრებიანი და მოკლე დასკვნებიანი მოხსენება.

ნიკო თავდგირიძე არ კმაყოფილდება ასეთის მოკლე მოხსენებით და ეკითხება გამგეობას: რა მდგომარეობაშია დღემდე ბანკზე დარჩენილი სოფლის ან ქალაქის მამულები? გვაქვს თუ არა შემოსავალი განსაკუთრებით ტფილისის მამულებისაგან; თქვენს ანგარიშებში, გარდა იმ საზოგადო მოსაზრებისა, რომ სოციალურ-ეკონომიურმა კრიზისმა ჩვენს მამულებზედაც იქონია გავლენა და შემოსავალი არ მოგვცაო, სხვას ვერაფერსა ვხედავ.

ამის პასუხად ჯერ **სერგო ჯაფარიძემ** აიღო ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება და სთქვა, რომ ტფილისის მამულები, სულ ერთი წელიწადია, რაც ჩვენს ბანკს დარჩა. წინად, ამ 2—3 წ. განმავლობაში, ამდენი მამულები არც ჩვენ გვრჩებოდა და არც ტფილისის ბანკს. იქ, მაგ., 1901 წ. მხოლოდ 2 მამული დარჩა ბანკს, დღეს კი 25—30-დე მამული შეატოვეს. ცხადია, ამის მიზეზი საერთო კრიზისია. სხვა მიზეზებთან ერთად, ამას ხელი შეუწყო ჩვენმა ტფილელმა აგენტურამ, რომელიც სრულიად უვარგისი გამოდგა ამ საქმის ორგანიზაციაშიო.

შემდეგ ესევე აზრი დაწვრილებით გაარკვია თვით დირექტორმა ბ-ნმა **აბულაძემ**.

აბულაძის განმარტებას, რომელმაც აშკარა ჰყო უთავბოლო ორგანიზაცია ტფილისის მამულების მართვა-გამგებლობისა, — ზედამხედველ კომიტეტის წევრმა თავ. **მექი ფალავამ** დასძინა: „სრულიად საკვირველი არ არის, რომ ტფილისის მამულებს დიდი შემოსავალი არ მოუცია, რადგან ისინი ქალაქის განაპირა ადგილებშია, მაგ., დიდუბეში, სადაც ღარიბი ხალხი—დეპოს მუშები—დგანან, რომელთა ცხოვრება დღეს არ არის ნორმალურ პირობებში, მათ აქეთ-იქით ერეკებიან და ისინიც ბინის ქირას ვერ იხდიან. შემდეგი კი, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და ჩვენც ტფილისში იქაური მამულებისთვის უკეთეს ორგანიზაციას შევქმნით, შემოსავალი ერთი-ორად იმატებსო.

ყველა ამან და ამგვარმა განმარტებამ ოპოზიცია და მისი მეთაური **ნ. თავდგირიძე** არ დააკმაყოფილა და გამგეობას წილად მაინც საყვედური ხვდა.

ჩვენის ბანკის დაქვეითების უმთავრესი მიზეზთაგანი, სხვათა შორის, ჩვენის ბანკის „აპეკის“ ქვეშ ყოფნა გახლავთ—სთქვა დ. ნაზაროვმა.— ამიტომ უნდა ვიშუამდგომლოთ, ეს აპეკა ახსნან მას და საზოგადოებას თავის საქმეების მართვა-გამგებლობა მიანიჭონ. ვითხოვოთ, რომ ნაძალადევი თავმჯდომარე მოგვაშორონო.—თუ კი საქმე ამაზე მიდგაო,—უთხრეს მას ერთხმად,— მაგაზე „ამინს“ ყველა ვეტყვითო, და ოქმშიაც ამ შუამდგომლობის აღძვრა შეიტანეს.

ბანკზე დარჩენილ მამულების საქმე მაინც გამოურკვეველი დარჩა და კამათი ხვალისათვის გადაიდო.

ის.—არიძე.

გამოღვიძებულ ადამიანის დღიურიდან

26 მაისი.

არა! აღარ შემიძლიან ასეთი ცხოვრება! რამდენადაც მეტი დრო მიდის, იმდენად უფრო ძალიან მძაგდება ჩემი წარსული, მონური ცხოვრება. თვალ-ხედვითი ისარი შემეცვალა და ამიტომ ახლა გულ-გრილად ველარ ვუყურებ იმას, რასაც გუშინ შევტრფოდი და შევხაროდი.

როდემდი, როდემდის უნდა ვიყო ასეთ ყოფაში! ადამიანური ცხოვრება მინდა, მაგრამ ვიცი, რომ ადამიანურს ცხოვრებას უბრძოლველად არავინ დამითმობს. ყველა იძახის,—ბრძოლაა, ბრძოლა არის საჭიროო. სისხლით უნდა შეღებოს ადამიანმა ის გზაო, რომლითაც სურს იდეალის მიღწევა! მეც მზად ვარ ვიბრძოლო, მზად ვარ ჩემის სიკვდილით გზა გავუკაფო ჩემს მოძმეს უკეთესს მომავლისაკენ, მაგრამ...

27 მაისი.

გარშემო ჯერ ისევ სიბნელეა! არსად სჩანს ის გმირული თავგანწირულება, ის უანგარო სიყვარული საქმისადმი, რომელსაც შეეძლოს ბრძოლის კეთილად დაბოლოვება. ყველა მოლოდინშია, ყველა გულის ფანცქალით ელის მოღრუბლულ ცის დაქუხებას, მაგრამ... გარშემო ჯერ ისევ სიბნელეა. ჯერ ისევ ბევრს სძინავს; ჯერ ისევ ბატონად სთვლიან თავის თავს ბნელი ძალები. მაშ როდის-ღა გვეღირსება განთიადი? როდის-ღა გაისმის მქუხარე ხმა, დაბეჩავებულის, გალატაკებულის, უტყვის ხალხისა? რა ძნელია ლოდინი, მეტადრე... გამოღვიძებულ ადამიანისთვის!..

30 მაისი.

...და ამას ეძახიან ინტელიგენციას? მე რამდენჯერმე დამიგდია **მისთვის** ყური, რამდენჯერმე მომისმენია **მისი** მჭერმეტყველური, გატაცებული ლაპარაკი. „ხალხისთვის სიკვდილი, ხალხისთვის თავდადება“,—იძახდა ის ყოველთვის და ბრაზ-მოდებული ყვიროდა, როდესაც ვინმე ისეთს გულქვაობას გამოიჩენდა, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას არ თანაუგრძნობდა. ხალხის გამოსარჩლება, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ, როდესაც გამოსარჩლებას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვება ხოლმე,—ეს კი არ ვარგა.

ერთი ქაღალდი მეჭირა ხელში, გულის ფანცქალით დავყურებდი ამ ქაღალდს და თან ვფიქრობდი: „ამ ქაღალდის საშუალებით უნდა შეგროვდეს ის, რაც დღეს ხალხისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს.

ქაღალდი იმას ვაჩვენე, გაიცინა და უკან გადმომიგდო. დრო არა მაქვს, კრებაზე მივდივარო.

ხალხი კი ემზადება, იკრებავს უკანასკნელ ძალ-ღონეს ბნელ ძალების წასალეკად. ილაპარაკე, ყმაწვილო, ხალხს შენი ლაპარაკი არ ესმის...

2 ივნისი, დილა.

„ინჟინერთა კავშირმა შეიმუშავა საერთო პლატფორმა და, სხვათა შორის, დაადგინა: დამფუძნებელ კრებაზე მოვითხოვოთ, რომ კავკასიას, პოლონეთს, ლიტვასა და სხ. მიეცეთ ავტონომია, იმ პირობით კი, რომ რუსეთის მთლიანობა დაცულ იქმნასო. ავტონომია ზემოხსენებულ ქვეყნებისა უნდა განხორციელდეს მათის წარმომადგენლების დადგენილებით“. გამეცინა, როდესაც ეს წავიკითხე. ნეტავი ვისთვის ირჯება „ინჟინერთა კავშირი“? ნუ თუ ამ კავშირმა არ იცის, რომ ერთი ავტორიტეტით აღსავსე ჟურნალი ავტორიტეტიულად ამტკიცებს, რომ ბიუროკრატიული ცენტრალიზმი სჯობიან ფედერატიულად შეერთებულ ავტონომიებს, ვინაიდან პროლეტარიატს ერთს საკანონმდებლო ორგანოში უნდა ჰქონდეს საქმე მოწინააღმდეგესთან და ამიტომ ყველა ერმა უნდა აიკიდოს თავისი გუდა-ნაბადი და პეტერბურგში გადაიბარგოს საბრძოლველათო. საკვირველია, რატომ «ინჟინერთა კავშირმა» არ იცის, რომ რუსეთის ცენტრალისტური ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული პარლამენტი სულს არ შეუხუთავს წვრილ ერებს და ამით აღარ გააძლიერებს ეროვნულ ბრძოლას? რატომ ჩვენს „მართლ-მორწმუნეებს“ არ დაეკითხა „ინჟინერთა კავშირი“? ჩვენი „მართლ-მორწმუნენი“ მეცნიერულად დაუმტკიცებდნენ, რომ მათ სურთ ეროვნულ შუღლის მოსპობა, და რომ ამის შესრულება შეუძლიან რუსეთში ცენტრალისტურ ორგანოს, რომელიც სხვაგან, პატარა ერთა შევიწროვებით, ყოველთვის ეროვნულ ბრძოლას დაჰბადებს ხოლმე.

„ინჟინერთა კავშირს“ არც ისა სცოდნია, რომ ქართველ ხალხს, „მართლ-მორწმუნეთა“ სიტყვით, არ უნდა ავტონომია, რომლისთვისაც პოლონელი, ფინლიანდელი და სხვანი მზად არიან სისხლი დღვარონ.

„ხალხს არ უნდა ავტონომია“...
რატომ?..

2 ივნისი, საღამო.

„ჭკუა დამჯდარს კაცს მწარე ღიმილი გადაჰკრავს, როდესაც ხედავს, რომ ასეთ ჯგუფს თავის თავზე უშველებელი წარმოდგენა მოუსმენია, ფანატიკურად გამსჭვალულა რომელსამე შაბლონურ აზრით და, თავის უნებურად, ერთ წერტილზე გაყინული, ცხოვრებას პროგრამას უწერს და ხალხსაც თავისკენ ეპატიჟება... იგი უკვე დარწმუნებულია, რომ მთელი ხალხი მიემხრო მას, რადგან მან „მოახერხა“ მის საიდუმლო კუნჭულებში ჩაძრომა და იქ ხელის ფათური! იგი დარწმუნებულია ამ თავის საარაკო „მოხერხებაში“ და კმაყოფილად ფიქრობს, ვითომც ყველამ მისი ქუდი დაიხურა და თვალებზედაც ის ბისტი გადაიფარა, რომელიც მას, დიდი ხანია, აფარია!.“

[illegible]თი ჯურის ხალხი.

ასე ხომ ბატონ-ყმობის მომხრეებიც გაიძახოდნენ: ხალხს არ უნდაო თავისუფლება...

დესპოტიზმში გახვიეს ხალხი, ყალბი ცნობები მიაწოდეს, მოუსპეს ყოველგვარი საშუალება ყოველ-მხრით განვითარებისა,—და მერე გაიძახიან,—ხალხს არ უნდა თავისუფლებაო? ხალხი უარს ვერ იტყვის თავისუფლებაზე, ვერ იტყვის უარს ავტონომიაზე იმიტომ, რომ ხალხმა ჯერ შეიძლება სავსებით არ იცოდეს, რა არის ავტონომია. მაშ ვინ ამბობს ავტონომიაზე უარს? ორიოდ-სამიოდე „მართლ-მორწმუნე“, რომელიც, ვიწრო ანგარიშებით გატაცებული, თავის პარტიის იქით ვეღარაფერს ხედავს და ხალხსაც გონებით სიბნელეში არჩენს... დიახ! სიბნელეში, რადგანაც ცალ-მხრივი განათლება ისევ სიბნელეა...

ა. ჯ—შვილი.

გაძლიერებული დაცვა და ხალხი.

რუსეთის საზოგადოებას, ამ უკანასკნელ თვეებში, ოფიციალურად ბევრი რამ სმენია გაძლიერებულ დაცვის უსარგებლობასა და მავნებლობაზე. მაგრამ სიტყვა დღემდე სიტყვად რჩება, და ადმინისტრაციის აღვირ-ახსნილობა ძველებურად გაბატონებულია. გაძლიერებული დაცვა არამც თუ არ გაუქმდა, უფრო გაფართოვდა და მთელს რუსეთს მოედო. სწავლა-განათლების ყველა დაწესებულება, ყველა ლეგალური საშუალება, საზოგადოების აზრის გამომსახველი, ახალის განკარგულებით, ერთს პირს, მინისტრის ამხანაგს დაუქვემდებარდა. ეჭვი აღარ არის, რომ 18 თებერვლის ბრძანება მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და არავითარს შეღავათს არ მისცემს ხალხსა. ყოველ კრებას, საზოგადოებასა თუ კავშირს, რაწამს სახელმწიფო წყობილებაზე და კეთილდღეობაზე გაჰბედავს საუბარს, მინისტრის ამხანაგს ყოველთვის უფლება აქვს ბურთი ჩასჩაროს პირში. ნუ თუ ამისთანა ზომებით შეიძლება ხალხის თვითცნობიერების შეჩერება? ჩვენ ღრმადა გვრწამს, რომ ახალი წესები უნდა დამყარდეს და დამყარდება კიდეც უფრო ადრე, ვიდრე მოწინააღმდეგეთა ჰგონიათ. განახლებას მოწყურებულ რუსეთს ყოველი ახალი დაბრკოლება მხოლოდ მაღასა და ენერგიას უათკეცებს, უფრო მტკიცედ აკავშირებს და აერთიანებს ქვეყნის კეთილდღეობაზე მზრუნველთა ძალ-ღონეს.

მით უფრო საფუძვლიანია ეს ცხოველ-მყოფელი იმედი „განახლების წყურვილისა“, რომ მებრძოლ რაზმთ თვით ხალხიდან დღითი-დღე ახალ-ახალი ძალა ემატება.

„ვეჩერნაია პოჩტა“ სწერს: რუსეთი—გლეხების ქვეყანაა! მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობა მიწის შვილზეა დამყარებული. რუსეთის სახელმწიფოს ეს დედა-ბოძი კი სრულიად მოკლებულია პოლიტიკურს უფლებას. ნება არა აქვს თავის საჭირ-ბოროტო კითხვებზე ითათბიროს, ნება არა აქვს თავი მოიყაროს, რომ მისთვის ხორცმეტად გარდაქცეული და მისი ინტერესების გამქელავი ადმინისტრაცია არ ჩაუდგეს კრიჭაში და არ დააწიოკოს. ხალხის კისერზე მძიმე ტვირთად დაწოლილი პოლიციელთა რაზმი უნდა გაუქმდეს და ეს აუარებელი ფული, რაც დღეს ამ მიმკვდარებულ და უსარგებლო მთავრობაზე იხარჯება, თვითონ სოფლის „ტეტიების“ გათახსირებულს ცხოვრებას უნდა მოხმარდეს. საჭიროა, აუცილებლადაც საჭირო, სოფლის მკვიდრსაც მიენიჭოს სრული თავისუფალი თვითმართველობა, ნება მიეცეს თავის ნებითა და მოსაზრებით განაგებდეს თავის ბედსა. დღეს კი ჩვენი გლეხობა იმ ჯადოსნურ აკლდამაშია დამწყვდეული, საიდანაც განთავისუფლებას ვერა ჰღირსებია, სადაც სული ეხუთება. ხალხი, ინტელიგენციასთან ხელი-ხელ ჩაბმული ხალხი თავის თანამოძმის კეთილდღეობაზე ჰფიქრობს. მთავრობა-კი ამ კადნიერებისა და „რაზბონიკობისათვის“ ატუსაღებს, ციმბირში ჰგზავნის, ხელფეხს უბორკილებს და სათავეშივე უხშობს ადამიანურს მისწრაფებას. რომელი ერთი ვსთქვათ. ჩვენი გულის წყრომა ისევე ფართოა, როგორც თვით ჩვენი ბედკრული სამშობლო.

ოჰ, როგორა გვწყურიან, გვენატრება საქმიანობა, თანამოძმისათვის თავის განწირვა!.. ნუ უხშობთ ხალხს სულთქმას, მიეცით მას გზა ფართო და თავისუფალი! ჩაგვრა-ტანჯვაში, მონობაში ნაშობს ხალხს აჰხსენით ხუნდები!.. შეიგნეთ მისი სულის კვეთება, მისი ადამიანური გულის ძგერა ქვეყნის საკეთილდღეოდ!..

ხალხი იწვევს გულშემატკივარ მებრძოლთ... გზას ულობავენ, სდევნიან. ხალხი გაურიყიათ. მაგრამ მოაღწია ჟამმა... დიდხანს ელოდა ხალხი... ახლა კი მოთმინების ფიალა აევსო“. (ნ. ჟ.).

გლეხის პასუხი გრინგმუტსა და კომპანიას

„გულ-დაწყლულებული ვკითხულობ ხოლმე ზოგიერთ კონსერვატიულ გაზეთებში, ვითომც „ხალხი, ჩვენი მდაბიო და გაუნათლებელი ხალხი“, ომის გაგრძელებას თხოულობდეს. ვინ დაავალა ამ ვაჟბატონებს ხალხის პირით ლაპარაკი? ისინი ან სულ არ იცნობენ „გაუნათლებელ სოფლის ტეტიებს“, როგორც უძახიან ხოლმე, ან განგებ სტყუიან...

ნება რომ მქონდეს საჯაროდ ლაპარაკისა, მოვახსენებდი: „არა, ხალხს არა სურს ომის გაგრძელება!.. თქვენ არ გინახავთ დედ-მამა პორტ-არტურში გაგზავნილის ჯარის-კაცისა!.. თქვენ არ გინახავთ წვრილ-შვილი მანდილოსანი, რომელმაც მეუღლე მანჯურიის მიდამოებს მიაბარა. ოჰ, რომ გენახათ ისინი, გენახათ მათი მდუღარე ცრემლი და გულსაკლავი გლოვა და ზარი, რომ ჩაგეხედნათ „ტეტიის“ გულის სიღრმეში, მაშინ აღარ იტყოდით მაგას, მცირეოდნად მაინც თუ შეგრჩენიათ ადამიანობა...

დაეკითხეთ ხალხს... თქვენ ბრძანებთ, ხალხს რომ დავეკითხოთ, ომის გაგრძელებას მოისურვებსო... მაგრამ ჯერ ეს გააგებინეთ ხალხს, რისთვის და ვისთვის ასტეხეთ ომი? გააგებინეთ ხალხს, რომ ბეზობრაზოვები და სატყეო კონცესიები დაედვა ომს სარჩულად, და ნახავთ, რომ ხალხი გაბრაზდება და მტკიცე უარს გეტყვით ომის განგრძობაზე. დღითი-დღე რომ ხარჯებსა და გადასახადებს უმატებთ, რატომ არ ფიქრობთ, სადამდე უნდა მიაღწევინოთ ხალხსა? ღმერთო ჩემო, შეიხედეთ გლეხის დანგრეულ ქოხში, შეხედეთ მის დაბრანძულ, დაკონკილ ტანისამოსში გახვეულ სხეულს, მის სილატაკესა და სიდუხჭირეს! მას განა ისედაც არა აქვს ყელში [illegible]!..

ნუ თუ თქვენის აზრით ქვეყნის კეთილდღეობა იმაში გამოიხატება, რომ უმცირესობა ფუფუნება-განცხრომაში ნეტარებდეს და უმრავლესობა კი მათის ნასუფრალითა და ნახრავით კმაყოფილდებოდეს?!. ასე ჰფიქრობთ, დიაღ, და ამიტომ აცხადებთ, ჩვენთვის აუცილებლად საჭირო არისო ომი.

სიღარიბესა, სიბნელესა და სიბინძურეში ჩაფლულს უმრავლესობას მიეცით გზა და საშუალება ადამიანურის ცხოვრებისა... მაშინ შინაური წარმოებაცა და მრეწველობაც იქამდე განვითარდებოდა, რომ აღარ შეიქმნებოდა საჭირო ლობე-ყორეს მოდება, აღარ შეიქმნებოდა საჭირო ბაზრებისა და ახალ ადგილების მოძებნა და უცხო ქვეყნების დაპყრობა ერთ-მუჭა ხალხის გასამდიდრებლად... განა ამისთვის არ ასტეხეთ ეს დაწყევლილი და რუსეთის დამამხობელი სისხლის ღვრა და ომიანობა!?. (ნ. ჟ.).

გლეხი.

პრესსა

„ცნობის ფურცლის“ № 2833-ში დაბეჭდილია წერილი მღვდლის იოსებ კაპანაძისა, რომელიც ასეთ შემაძრწუნებელ ამბავს გადმოგვცემს ქართლის „ბრწყინვალე“ მილიციონერთა „მოღვაწეობის“ შესახებ:

> ოცი მაისს, პარასკევს, ს. ქვემო-ნიქოზს ესტუმრა გორის მაზრის თავად-აზნაურთა მიერ შემდგარი რაზმი, ასე 300 კაცამდე. როგორც ეტყობოდა, რაზმს სურდა გაეცნო აქაურ გლეხებისათვის თავისი პროგრამმა. მოსვლისთანავე გაიგზავნა სოფლის უბნებში შიკრიკები, რომელნიც იწვევდნენ გლეხობას თავ. დავით წერეთლის სახლში მოსალაპარაკებლად. ერთი ამ შიკრიკთაგანი იყო თვით თავ. წერეთელი, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, მცოდნე და მცნობი აქაურის ხალხისა. გლეხობას უმისოდაც არა სასიამოვნო ხმები ესმოდა ამ რაზმზე და, აბა წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი მაშინ, როცა თვალწინ მოულოდნელად წარმოუდგა შეიარაღებული. გული თრთოდა, სისხლი ჩვეულებრივად აღარ მოძრაობდა. ყველას, ქალსა და კაცს, სული განაბული ჰქონდა, ეგონათ, აი, ან ეხლა, ან ეხლა აასრულებენ თავადები თავიანთ განზრახვასაო. გლეხობას ჰგონია, რომ ეს რაზმი მათ საწინააღმდეგოდ არის შემდგარი და შეიარაღებული; ხსენებულმა შიკრიკმა, დავით წერეთელმა, აიარ-ჩაიარა სოფელში, ეხვეწებოდა ყველას, ვინც კი შეხვდებოდა, მობრძანდით და გაიცანით ჩვენი „პროგრამმაო“, მაგრამ მისმა ვედრება-ღაღადებამ ვერ გასჭრა—არც ერთი გლეხი არ წავიდა კრებაზე დასასწრებლად. რაკი ხალხი არ მივიდა, რაზმიც დიდხანს არ დარჩენილა სოფ. ნიქოზში—ასე, ორის საათის შემდეგ შესხდნენ თავიანთ მერნებზე, ბაირაღით და თავისებურის „არალალე-თარალალის“ მღერით გაემგზავრნენ ს. თამარაშენისკენ, სადაც მათ ელოდა გემრიელი სადილი. მეორე დღეს რაზმს ჩამოშორებოდა ცხრა შეიარაღებული კაცი. ნაშუადღევის ექვსი საათი იქნებოდა, რომ ეს ცხრანი ბრუნდებოდნენ თავიანთ ბინაზე. გზაზე მათ შეხვდათ სოფ. ცხინვალიდან მომავალი სოფლის მასწავლებელი ბაგრატ ლაზარაშვილი და ჩემი შვილი, გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლე. ერთს ამ ცხრათაგანს, ბ-ნ წერეთელს, დანახვისთანავე „ეკამანდნა“ ჯერ თავის ამხანაგებისთვის—შეჩერდითო, და მერე მრისხანედ შეუყვირნა გზაზე მომავალის მასწავლებლისა და მოსწავლისთვის, თქვენც გიბრძანებთ შეჩერდითო. ეს უკანასკნელნიც დამორჩილებოდნენ ბრძანებას. ცხრა შეიარაღებული თავადი გარს შემორტყმოდა ამ ორ ახალგაზდა ყმაწვილს, როგორც ავაზაკებს. ბ-ნ წერეთელს, როგორც მათ მცნობს, ჯერ ორივენი მოეკითხა, ჩემის შვილისთვის ხელი ჩამოერთმია და მერე უცბად, ანაზდეულად დაეშინა მათრახი და ეთქვა: თქვენ ორივენი რეებს მიჰქარავთ ჩვენს რაზმზედაო. წინა დღეს, როცა ეს ვაჟბატონი უწოდებდა გლეხს კრებაზე დასასწრებლად, ჩემი შვილი ხმა-მაღლა კითხულობდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-2823 ნომერში მოთავსებულს კორესპონდენციას თავად-აზნაურთა მილიციის შესახებ. ბ-ნმა წერეთელმა ეს კითხვა გაიგონა, უთუოდ შეურაცხყოფად მიიღო და ამიტომაც მეორე დღეს დანახვისათანავე გაახსენდა იგი. ამაზედ კარგს და მოხერხებულ დროს როდის-ღა შეხვდებოდა: ჩაიგდო ხელში ეს ორი ყმაწვილი განცალკევებული და თავისი განზრახვაც სისრულეში მოუყვანია. განა გაზეთის კითხვას მათრახი უნდა მოჰყვეს!? მეორე ყმაწვილს მასწავლებელს ბ-ნმა წერეთელმა ხელი არ ახლო, მხოლოდ უბძანა: შენთვის მიპატიებია, რადგან ჩემი მეზობელი ხარო, თითქოს ჩემი შვილი მისი მეზობელი არ ყოფილიყოს! მასწავლებელი მეზობლობამ კი არ იპატია, მას თავის წოდებამ უშველა. იგი გლეხთაგანია, და აი, სწორედ ამისათვის ვერაფერი ვერ შებედა თავ. წერეთელმა. კარგად იცოდა, რომ მის გამათრახებას შემაძრწუნებელი შედეგი მოჰყვებოდა, რადგან გლეხები ამ შეურაცხყოფას არ მოითმენდნენ. ჩემმა შვილმა პატივისცა ჩემს მოხუცებულობას, ამაგსა და მომავალ იმედს და ამიტომაც გაჩერდა თავის ჯალათის წინაშე ხმის ამოუღებლად. მას რომ პასუხი გაეცა თავის ჯალათისთვის, უთუოდ გაისრისებოდა მართლა და „შავი“ რაზმის შეიარაღებულ წევრთაგან და ამით ბოლო მოეღებოდა ჩემს მომავალ იმედს. განა ასეთი უსამართლობა იქნებოდა? რა ნება აქვთ თავად-აზნაურთ შელახონ ვისიმე პიროვნება? მერე ისეთ თავად-აზნაურთ, რომელთაც სარდლობს და მფარველობს მაღალ სასწავლებელში სამჯერ კურს-დამთავრებული პირი (ასე უწოდებენ თავიანთ სარდალს თვით თავად-აზნაურნი).

ამ ამბავს განმარტება აღარ ეჭირვება. იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორის საშუალებით ცდილობენ ქართლელი მილიციონერები ხალხის „დამშვიდებასა“ და „წესიერების“ აღდგენას...

⁂

«მოსკოვ. ვედ.»-ი სიხარულისაგან ყირამალა დგება პოლიციის სამინისტროს დაარსებისა და მინისტრად ტრეპოვის დანიშვნის გამო. ძლივს არ ეღირსა რუსეთს შვება! ძლივს არ გადარჩა რუსეთი დაღუპვისაგან! გრინგმუტს ყველაზე მეტად ის უხარიან, რომ ტრეპოვს უფლება მიეცა ნებადართულ კრებებისა და საზოგადოებათა დახურვისა, მხოლოდ სამწუხარო ის არის,

> რომ იმას ასეთივე ფართო უფლებანი არ მიეცა „კანონიერების“ დამყარებისა იმ პრესსაში, რომელმაც აღვირი აიხსნა, თავს გავიდა და ხალხში პირდაპირ ქადაგებს აჯანყებას, სოციალიზმის დამყარებას და მეფის თვითმპყრობელობის დამხობას.

⁂

„ბირჟ. ვედ.“-ის აზრით, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დათხოვნას რუსეთის საქმეებთან დიდი კავშირი აქვს.

> [illegible] საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ლაპარაკი აღიძრა. დელკასემ ამის გამო თავის წინააღმდეგ მთელი საფრანგეთი აამხედრა. მას შემდეგ საფრანგეთში რუსეთის წინააღმდეგ აგიტაცია არაჩვეულებრივის ენერგიით მიდიოდა. პარიზში შესდგა ცალკე ლიგა, რომელმაც მიზნად დაისახა რუსეთის ბიუროკრატიის წინააღმდეგ მოქმედება. ამ ლიგას ხელმძღვანელობდნენ განთქმული ჟურნალისტები და მწერლები—ანატოლ ფრანსი, სენობოსი, პეკარი, გავე, მირბო, კლემანსო, კერი, პრესანსე და სხ., ეს საზოგადოება მთელს საფრანგეთს ამხედრებს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის წინააღმდეგ. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ რესპუბლიკანურ საფრანგეთში ვერ გაჩერდებოდა ისეთი მინისტრი, რომელიც რუსეთის მომხრე და დამცველი იყო.

რუსეთი

ხმა გავარდა, რადგან რუსეთში პარლამენტალური წეს-წყობილება უნდა შემოიღონ, ამიტომ სახელმწიფო კანცლერად ვიტტეს ნიშნავენო. მერე აღმოჩნდა, რომ ეს ხმა **ტყუილი ყოფილა** (რ.).

◆ რუსეთის გაზეთების სიტყვით, ბულიგინის პროექტით **პარლამენტის სესსია** სულ ერთ თუ ორ თვეს გასწევსო (ნ. ვ.).

◆ განთქმულ **ზუბატოვს**, რომელიც მუშათა თანამედროვე მოძრაობას განუვითარებელ მუშათა ორგანიზაციებს უყენებდა წინ, **მთავრობამ წელიწადში 5000 მანათი პენსია დაუნიშნა.** (რ.).

◆ პეტერბურგის მოსამართლეთა კრებამ პეტერბურგის გრადონაჩალნიკს შეატყობინა: ამით გაცნობებთ, რომ, როცა პოლიციას მთვრალი დედაკაცები პოლიციაში მიჰყავს, იქ თვითონვე ხდის მათ ტანისამოსს, **მთლად ატიტვლებს** და ისე ამწყვდევს ოთახში გამოსაფხიზლებლად. ეს წესი მთელს ქალაქშია შემოღებულიო (რ. ვ).

ხმა ქიზიყიდან

(შენიშვნები)

გორაკის კალთებზე გაშენებული სიღნაღი შორიდან საამო შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ, როდესაც შედიხართ თვით ქალაქში, მაშინვე გული გწყდებათ, რადგანაც სიღნაღი სიბინძურის ბუდედ გადაქცეულა.

პირიქით, რომ სხვანაირად მოქცეულიყო,—გასაკვირი იქნებოდა, ვინაიდან ამით იგი თავის თავს უარჰყოფდა; ასეთი საქმისთვის კი საჭიროა მოქალაქობრივი სიმამაცე, რომელიც ადმინისტრაციას არსად და არასდროს არ გამოუჩენია. ამნაირად გადაწყდებოდა დანარჩენ კომიტეტებისაგან აღძრული კითხვები, მაგრამ მრავალი კომიტეტები ადგილობრივმა საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა აიძულა, რომ მათ აღენიშნათ უმთავრესი საჭიროებანი.

დაღესტანში კი ასეთი მოწინავე საზოგადო ძალა ისე მცირეა, რომ მის სურვილსა და მისწრაფებას არავითარი გავლენა არა აქვს. ეს გარემოება აიხსნება ადგილობრივ ინტელიგენციის სიმცირით და არც არის იმედი, რომ მათმა რიცხვმა ახლო მომავალში იმატოს, რაც პირდაპირი შედეგია ადგილობრივ გიმნაზიის უქონლობისა. ვისაც კი უმაღლესი სპეციალური განათლება მიუღია, თითქმის სრულიად მოწყვეტილია ადგილობრივ ნიადაგს და აქაური ჭირ-ვარამი მასში არავითარ ინტერესს არ იწვევს. შეგნებულ ინტელიგენციის უქონლობა დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. სულ რომ არა იყოს-რა, ეს უკანასკნელი სიტყვით მაინც გამოესარჩლებოდა თავის სამშობლოს და სურვილი ექმნებოდა მისი გამოფხიზლების და გათვითცნობიერებისა.

უმეტესი ნაწილი საერთოდ მცირე რიცხოვან ინტელიგენციისა კუმიკების თემიდან არიან, ე. ი. დაღესტნის ზღვის პირის ნაწილიდან, სადაც ხალხი თათრულ-ადერბეიჯანულ ენაზე ლაპარაკობს. აქაურ ინტელიგენციას თავში უტრიალებს პანისლამიზმის იდეა. მას სურს სარწმუნოებრივი გრძნობა გამოიყენოს სხვადასხვა თემთა შესაერთებლად. აგრეთვე სურს თათრულ ენის საშუალებით გაავრცელოს კულტურა მთელ დაღესტანში. ჯერ-ჯერობით ეს განზრახვა თეორიულად სუსტად არის შემუშავებული და უფრო სუსტად გავრცელებული; პრაქტიკულად კი სრულებით არაფერი გაკეთებულა დღემდის.

ჩვენ არ შევეხებით იქ კითხვას, რამდენად სასურველია პანისლამიზმის იდეის გავრცელება და მასზე დამყარება სხვადასხვა თემების ერთობისა, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ თათრული ენის საშუალებით სწავლა-განათლების გავრცელება მთებში შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან აქ ავარულ ენაზე წერა-კითხვა შედარებით უფრო გავრცელებულია და, ავარელთ გარდა, სხვა თემებიც შეჩვეულნი არიან ამ ენას. მთელ ლეკების გათვითცნობიერებისათვის უფრო რაციონალურად უნდა ჩაითვალოს ავარულ ენის განვითარება და მის დახმარებით სწავლა-განათლების გავრცელება.

მაგრამ ყოველივე ასეთი მოქმედება მომავლის კუთვნილება. არის ეხლანდელ ცხოვრების პირობებში ყოველგვარ იდეის გავრცელებას უძლეველი დაბრკოლებანი ელობება წინ... ამ დროით ყოველივე ღონე უნდა იქმნას ხმარებული, რომ ცხოვრების გარეგანი პირობები იქმნას შეცვლილი, როგორც ამას მთელი რუსეთი და კერძოდ კავკასია თხოულობს. სად არის მერე ის ორგანიზაცია, რომელიც უნდა ცდილობდეს, რომ დაღესტანი არ იქმნას გამორიცხული საერთო მეჯლისიდან?

ისმის რაღაც ჩამი-ჩუმი, თითქო ინტელიგენცია აპირობდეს ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით დაამზადოს პეტიცია ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ. მართალია, პეტიცია რაიმე უფლებათა მოსაპოებლად ვერაფერ იარაღს წარმოადგენს, თუ მასში გამოხატულ მოთხოვნილებას ზურგს არ უმაგრებენ ისეთი ძალები, რომელნიც მზად არიან სხვა უფრო რადიკალურ საშუალებას მიმართონ საჭიროების დროს, მაგრამ, როგორც ქართული ანდაზა ამბობს—სულ არარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობია.

ამით ვათავებ დაღესტნის ავ-კარგის აღწერას და ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ კარგი ვერაფერი ვუამბე.

დროებით დაღესტნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის ერთ-ერთ ქუჩის ნაპირზე არის ვეებერთელა თხრილი, სადაც ყოველგვარ სიბინძურეს სიღნაღელები აგროვებენ. ეს თხრილი სწამლავს მთელ ქალაქს და ძალა-უნებურად ეკითხებით თქვენ თავს: არის თუ არა სიღნაღში ქალაქის თვითმართველობა ან რამე იმნაირი დაწესებულება, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს სანიტარულ პირობებს? არიან თუ არა ქალაქის „მამები“ და, თუ არსებობენ, მათ მოვალეობას შეადგენს თუ არა ქალაქის სისუფთავეზე იზრუნონ?

როგორ არა, სიღნაღსა ჰყავს ,,სტაროსტა‘‘, ჰყავს ,,მამებიც‘‘, მაგრამ რაში გამოიხატება ქალაქისადმი მათი სამსახური—ეს ალლაჰმა უწყის. «ქამა-მთავარი» და ,,მამები‘‘ არიან და არც არიან; არიან თავის თავისთვის და არ არიან ქალაქისთვის. არიან ფორმალურად და არ არიან ფაქტიურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიღნაღი სიბინძურის მაგალითი არ იქნებოდა. იმ დროს, როდესაც გაბატონებულ ცხოვრებას შიშის ზარსა ცემს ,,სამპიროვანი სულთა-მხუთავი‘‘—ომი, შინაური მოუწყობლობა და აზიელი სტუმარი, ხოლერა,—როდესაც ხალხი ყოველგან აზვირთდა, როდესაც ქალაქმა და სოფელმა შეიცვალა ფიზიონომია და ახალ ცხოვრების ძარღვი მაგრად სცემს,—ამ დროს სიღნაღს სძინავს ძველებურ ღრმა ძილით, რითაც, ალბად, ძალიან კმაყოფილია გაძლიერებული ,,სტრაჟნიკ-გოროდოვების‘‘ დასი, ეს ერთად-ერთი წარმომადგენელი ბიუროკრატიულ კულტურისა. მართალია, როგორც გამონაკლი, ერთი-ორი ისეთებიც მოიძებნება, რომელთაც შეუგნიათ თანამედროვე ცხოვრება, მაგრამ მათი ხმა უმნიშვნელოდ იკარგება საზოგადო მიძინებულ ცხოვრებაში.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სიღნაღის ცხოვრებიდან ერთი საყურადღებო ფაქტი, რომელიც ერთით დასაჯერებელი არ არის, მაგრამ ფაქტად კი რჩება. თუმცა, საზოგადოდ, ბიუროკრატია ყოველ საშუალებით სარგებლობდა, რომ მოეკლა ადამიანის აზრი, ადამიანი პირველ ყოფილ დროის პირობებში ჩაეყენებინა, მაგრამ შეერთებულმა ძალამ ბიუროკრატია სამარცხვინო ბოძზე გააკრა და დაჰგმო მისი ხრიკები. სიღნაღს კი ჯერ ყურიც არ გაუპარტყუნია და, უბრალო სამკითხველო რა არის, ისიც კი არა აქვს. რითი აკმაყოფილებს სიღნაღელი თავისს სულიერ მოთხოვნილებას? მარტო ჭორებით? ვერაფერი ადამიანობაა!

სდუმს, გულის ძილშია სიღნაღი, ხოლო ქიზიყის სოფლები თანდათან იღვიძებენ. სიმართლეს არ იქნება მოკლებული, აღვნიშნოთ, რომ ქიზიყს ჯერ-ჯერობით გარკვევით ვერ წარმოუდგენია რა სტკივა, თუმცა სხეულის ავადმყოფობას კი ჰგრძნობს. ამრიგად ქიზიყი ჩამორჩა საქართველოს სხვა კუთხეებს. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ქიზიყელების იმ თავისებურობას, რომ ცოტა გვიან შეიგნებს, მაგრამ, რასაც შეიგნებს იგი, ღრმად ჩაიჭდევს გულში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომავალში, სხვებს თუ არ აჯობებს, არც ჩამორჩება.

ამას წინად საქობოელებმა ხარკის ამკრეფი შეიპყრეს, რადგანაც ფულის გაფლანგვა ბრალდება და პოლიციას გადასცეს. ძველებურად, როგორც სჩანს პოლიციისაგან მოელიან სამართალსა და პატრონობას.* იმედი, რა თქმა უნდა, კარგი რამ არის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ გაცრუებული იმედი ნამეტანი მწარეა და კაცს სხვა გზას მოაძებნინებს...

ამავე საქობოელებმა იერიში მიიტანეს სანა- [illegible] საძოვარი ადგილი მიუციათ სანანაურისთვის, [illegible] თვითონვე დასჭირდათ ეს ადგილი სანანაურებს მოსთხოვეს ხსენებული ადგილი, სანანაურელმა ვერ შეასრულა საქობოელების სურვილი. საქობოელებმა თვითონვე გაასამართლეს საქმე. ოთხმოცი-ოთხმოც-და-ათი შეიარაღებული ცხენოსანი გაელაშქრა სანანაურს, აიკლო საძოვარ ადგილებზე გაშენებული ბინები, დაუკლეს ძროხა, ცხვარი და სხვ. და ამნაირად ვითომ გამარჯვებული დაბრუნდნენ. სამწუხაროდ, მათ ვერ შეუგნიათ, რომ ამნაირი გმირობა მოსაწონი არ არის და დარბევა-დაწიოკებას საქობოელებს არც ერთი შეგნებული არ მოუწონებს. სანანაურის გაჭირება და ვარამი საქობოელების სატკივარი უნდა იყოს და აკლება-დაწიოკების მაგივრად, სხვა გზა უნდა გამოეძებნათ. სანანაურსა და საქობოს შორის დამოკიდებულება რომ გამწვავდეს და ერთმანეთიც რომ ამოჟლიტონ, საქობოელები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ამით ისინი ხელს შეუწყობენ იმ მტერს, რომელიც მეცადინეობს ხალხში ერთობა დასცეს და განხეთქილება ჩამოაგდოს. გაიძახიან ,,ერთობას‘‘ სიტყვით, საქმით კი ერთმანეთს აწიოკებენ იმ დროს, როდესაც შეერთებულის ძალით უნდა მიეშურებოდნენ იმ ადგილისკენ, ,,სადაც ძაღლის თავი მარხია‘‘, რომლის ამოგდება და სრულიად მოსპობა არავის მოსვენებას არ უნდა აძლევდეს.

ამ მცირე შენიშვნების დასასრულში არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ქიზიყი ,,ენატანიებით‘‘ სავსეა. ამ გარყვნილ საქციელში მონაწილეობას იღებენ ზოგიერთნი იმისთანებიც, რომელნიც ქრისტეს მცნებას—ძმობას და ერთობას—სიტყვით ქადაგებენ და საქმით კი მონურ მოთმინებასა, უვიცობასა და სხვის დაწიოკებას ემსახურებიან. ამ მქადაგებელთა დასს დიდს აქტიურ თანაგრძნობას უცხადებს სოფლის ზოგიერთი მასწავლებელიც. ნეტა ასე რამ დაუბნიათ გონება ბნელეთის ამ აგენტებს? პასუხს მისცემენ გამოფხიზლებულ ხალხს, როდესაც იგინი წარსდგებიან ხალხის მსჯავრის წინაშე?...

დორპატელი.

კორესპონდენცია

ბათუმი. ა. ი. მანთაშევის ქარხნების აქაურმა გამგეობამ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

სანავთ-მრეწველო და სავაჭრო საზოგადოების „ა. ი. მანთაშევის და ამხ.“ სააქციონერო საზოგადო კრებამ, გაარჩია-რა საკითხი ბათუმში არსებულ ქარხნების დღევანდელ მდგომარეობისა და მიიღო-რა მხედველობაში პირობები, რომლებიც უშლიან მათ მოქმედებას მომავალში, დაადგინა: გამოცხადებულ იქმნას, რომ ორ ივანობისთვიდან ქარხნები დაიხურება და მუშაობა შესწყდება.

საზოგადო კრების დადგენილების შესასრულებლად, გამოეცხადოს ყველა მუშას, რომ ორ ივნისიდან ქარხნები დაკეტილია და მათ შეუძლიათ უკანასკნელი ანგარიში მიიღონ. ამასთანავე მათ შეუძლიათ მიიღონ თოთხმეტის დღის ანგარიში, საქარხნო კანონდებულების თანახმად.

ამგვარად, ბათუმში ორმა უკანასკნელმა ქარხანამ შესწყვიტა მუშაობა, და 2,500 მუშა, რომელიც მათში მუშაობდა დროებით მაინც, ულუკმა-პუროდ დარჩა. თითო მუშას ახლა დასახლოვებით ათი-თხუთმეტი მანათი მოუწევს და ამ ფულმა, ვინ იცის, რამდენ ხანს უნდა შეინახოს იგი.

როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, კანტორის მოსამსახურეებსაც ბევრს დაითხოვენ; დასტოვებენ მხოლოდ ორ-სამ მოსამსახურეს.

ერთ კვირაზე მეტია, რაც ბათუმში ოჯახებსა და სასტუმროების მოსამსახურეებმა გაფიცვა მოახდინეს და თავიანთ ადებს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

1) **კერძო ოჯახებში მოსამსახურეებმა:**

1. რვა საათის სამუშაო დღე.
2. ჯამაგირის მინიმუმი 8 მან., ვისაც ეძლევა 7—10 მანათამდე, მოუმატოს 40 პროცენტი; 10—15—35 პროცენტი; 15—20—25 პროც., ვისაც ეძლევა ოცზე მეტი—15 პროც.
3. მიეცეს ყოველ მოსამსახურეს ჯამაგირის წიგნაკები.
4. დილა-საღამოს ჩაი, ორი თავი საჭმელი და ვახშამი.
5. სამზარეულოსა და სამრეცხლოს გარეთ სუფთა ბინა.
6. სამუშაო ტანისამოსი მუქთად.
7. ავადმყოფობის დროს ექიმი და წამალი ერთის თვის განმავლობაში, ჯამაგირის და ადგილის შერჩენით.
8. ჯამაგირი აუცილებლად თვის ბოლოს ეძლეოდეთ.
9. მოსამსახურეს დათხოვნა უნდა გამოეცხადოს ორის კვირით ადრე და მიეცეს ჯამაგირი გამოცხადების დღიდან.
10. მოსამსახურე კაცი მოვალე არ არის ოც გირვანქაზე მეტი წამოიღოს ბაზრიდან, ქალმა ათ გირვანქაზე მეტი.
11. წელიწადში ერთხელ ჯამაგირის მომატება 10 პროც.
12. ადამიანური მოპყრობა.
13. კვირაობით, 12 დიდ დღესასწაულ დღეებში და 1 მაისს სრული თავისუფლება.
14. ორსული ქალები უნდა განთავისუფლებულ იქმნენ ორის კვირით ადრე მშობიარობამდე და 4 კვირა მშობიარობის შემდეგ ჯამაგირის და ადგილის შენახვით.
15. წელიწადში ერთის თვის თავისუფლება ჯამაგირის და ადგილის შერჩენით.
16. არ უნდა გადახდეს გატეხილ ჭურჭლის ფასი.
17. მოსამსახურე ქალების ზნეობა არ უნდა იღახებოდეს ოჯახის რომელიმე წევრის თვითნებობისაგან.
18. 16 წლ. ნაკლები მიღებულ არ იქმნენ.
19. [illegible] დათხოვნა მოსამსახურეთა საერთო თანხმობით ხდებოდეს.
20. მოსამსახურეთა დაზღვევა ყოველგვარ უბედურ შემთხვევების გამო.
21. გაფიცვის გამო, ან პოლიტიკური დანაშაულობისთვის, არავინ იქნეს დათხოვნილი.
22. გაფიცვის დღეების ქირა სრულიად მიეცეს.

2) **სასტუმროებში მოსამსახურეებმა:**

1. ორჯერ მორიგეობით სამსახური; რვა საათის სამუშაო დღე.
2. ჯამაგირის დანიშვნა და მომატება ამ მოთხოვნილების დამატების თანახმად.
3. გამოიკრას განცხადებები ყველა ნომრებში და რესტორანებში საჩუქრების მოსპობის შესახებ და მასთან ბრძანების კილოთი არ ეძახდნენ მოსამსახურეებს, ლაქიებს და მიმართონ თქვენობით.
4. ზრდილობიანი მოპყრობა როგორც ხაზეინების მხრით აგრეთვე სტუმრებისაგან.
5. დაკარგულ-გატეხილ ჭურჭლის პასუხის მგებელნი მოსამსახურენი არ უნდა იყვნენ.
6. სასადილო დრო განსაზღვრული იყოს.
7. ორი თავი საჭმელი, დილა-საღამოს ჩაი და ვახშამი.
8. სუფთა ბინა, ან ბინას ფული.
9. უჯამაგიროდ არავინ მსახურებდეს.
10. წელიწადში ერთის თვის თავისუფლება ჯამაგირის და ადგილის შერჩენით.
11. ყოველგვარის ფორმიანისა და სავალდებულო ტანისამოსის მოსპობა.
12. სამუშაო ტანისამოსი და მისი რეცხვა მუქთად.
13. რესტორანებში დამწმენდ-დამლაგებლად და გასაგზავნ-გამოსაგზავნად ცალკე კაცი.
14. არ იქმნეს მიღებული 16 წლისაზე ნაკლები.
15. ჯამაგირები აუცილებლად თვის დამლევს.
16. მოსამსახურის მიღება და გაშვება მოსამსახურეებისგანვე ხდებოდეს.
17. მოსამსახურეს დათხოვნა უნდა გამოეცხადოს ორის კვირით ადრე და მიეცეს ერთის თვის ჯამაგირი გამოცხადების დღიდან.
18. მიეცეს ყველას ჯამაგირის წიგნაკები.
19. წელიწადში ერთხელ ჯამაგირის მომატება 10%.
20. მოსამსახურის მოვალეობა ნუ იქნება პოლიციაში ცნობის მიტანა.
21. სრული თავისუფლება 1 მაისს და 12 დიდ დღესასწაულ დღეებში.
22. მოისპოს ის საზიზღრობა და ადამიანის ზნეობას გამათახსირებელი საქმე, რასაც ხაზეინები და საზოგადოებაც სასტუმროების მოსამსახურეებს აკისრებენ—პროსტიტუტკების მოყვანა.
23. დაზღვევა ყოველგვარ უბედურ შემთხვევების გამო ხაზეინის ხარჯით.
24. არავინ იქმნეს დათხოვნილი გაფიცვის ან პოლიტიკურ დანაშაულობის გამო.
25. გაფიცვის დღეების ქირა სრულიად მიეცეს.

ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებაზე ადებმა თავიანთის რეზოლუციით თითქმის სრულიად უარი სთქვეს.

მთელს ბათუმს ნოქრები ერთი კვირაა გაფიცულნი არიან; ნახევარი მაღაზიები დაკეტილია, დანარჩენში თვითონ ადები ასრულებენ ნოქრების მოვალეობას. როგორც საქმის მდგომარეობიდან სჩანს, გაფიცვა დიდ ხანს გაგრძელდება და ბევრ ვაჭრებს გაუგზავნიათ თამასუქები პროტესტში.

დიდი ამბები ხდება აქაურ ქალაქის საპატიმროში: სამის კვირის წინად ერთი ტუსაღი გაიქცა; არ გასულა ათი დღე, რომ კიდევ ორმა ტუსაღმა უშველა თავს, რის შემდეგ საპატიმროს ზედამხედველმა თავი მოიკლა. 30 მაისს, მეცამეტე კამერაში პატიმრებს, რიცხვით 23 კაცს მეტიმე გაეკეთებინათ და გაპარვას აპირებდნენ, მაგრამ შეუტყვეს და სხვა ოთახში გადაიყვანეს.

ამ დღეებში პარცხანის მუშებს დიდი ყრილობა ჰქონდათ: უნდოდათ რამენაირად მოესპოთ ის ძარცვა-გლეჯა, რომელიც ამ ბოლოს დროს ძლიერ გავრცელდა ბათუმში და მოსვენებას არ აძლევს არავის. დაფარულ კენჭის-ყრით აღმოაჩინეს ოც-და-რვა კაცი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ მონაწილეობას იღებენ „მძარცველთა და შავ-რაზმის მოღვაწეობაში“. ზემოხსენებულ პირებს წინადადება მისცეს, რომ გასწორდნენ და თუ კიდევ რამეში შენიშნეს, მაშინ გაძევებულნი იქმნებიან სრულებით და მათ წინააღმდეგ ყოველგვარ სასტიკ ზომებს მიიღებენ მუშები.

29 მაისს აქ პოლიციელებმა დაიჭირეს რამოდენიმე თოფი ,,ბერდანის‘‘ სისტემისა, როცა გემიდან გადმოჰქონდათ. ამ რამდენისამე დღის წინად მთელს უბანს ჯარი შემოახვიეს და გაჩხრიკეს: ნახეს ექვსი ყუმბარა, თოფები, ტყვიები და აკრძალული მწერლობა.

ანარში.

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო! ბოდიშს ვიხდი, რომ „განმარტება“ დაგიგვიანეთ, თუმცა მეც არ ვიცი რიგიანად, რა განვიმარტოთ ან თქვენ, ან გაზეთის მკითხველს.

თქვენი გაზეთი ბრძანებს, ვითომც „მილიციონერი“ ვიყო. საიდან მოგივიდათ ასეთი უცნაური და ჩემთვის შეუფერებელი აზრი? ისე გადაჭრით მაკისრეთ ეს როლი, თითქოს არ მიცნობდეთ—რა ვარ, ვინა, ან რას ვემსახურები. ვსწუხვარ, რომ ინებეთ, დაენდოთ მითქმა-მოთქმას და უნებლიედ „სათრევად“ გახადეთ ჩემი სახელი, მაგრამ ახლა რა გაეწყობა, იძულებული ვარ დავაკმაყოფილო მცირედად მაინც თქვენი ცნობის-მოყვარეობა, თუმცა უფრო კანონიერი იქნებოდა და სამართლიანობაც ამას მოითხოვს, განმარტება იმასა ჰკითხოთ, ვინც მეთაურობს „მილიციას“. მილიციის არსებობა ფაქტია და „სახელმწიფო საიდუმლოს“ არ წარმოადგენს.

ვის მოუვიდა აზრი მილიციის შედგენისა, არ ვიცი. როგორ, ან ვინ განახორციელა ეს აზრი, სად იკრიბებოდნენ, ვინ იღებდა მონაწილეობას, არც ეს ვიცი. კრებაზე არავის მიუწვევივარ, თუ ხდებოდა ასეთი კრებები.

პირველად უკვე შემდგარი რაზმი ვიხილე 21 აპრილს, ჩემს საკუთარ სოფელ საღოლაშენს, სადაც მიმიწვიეს სამის სოფლის გლეხთა დეპუტატებმა და ადგილობრივ მემამულეთ, ვითარცა „მედიატორი“ გამწვავებულ ურთიერთობის დასაშმებლად. სიამოვნებით მივიღე ეს „მისსია“, სამი დღე მოვუნდი ბაასსა და საუბარს, მაგრამ, სამწუხაროდ, უნაყოფოდ ჩაიარა ჩემმა მეცადინეობამ. პირადად მე იმ აზრს დავადექი, რომ შინაურ მორიგებისათვის ჯერ ნიადაგი არ მომზადებულა. მთავრობის კომისიამ გადასწყვიტოს ჩვენი საქმე,—ასე მითხრეს მეზობელ გლეხებმა.

სოფლად ყოფნის დროს (21—23 აპრ.) გავიცანი ორგანიზაცია „მილიციისა“ და წამიკითხეს შავად დაწერილი წესდება „ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოებისა“. ვისი ნამუშევარია წესდება არ ვიცი, არც ვცდილვარ გამომეკვლია ეს საგანი. აზრი ფრიად სიმპატიურად და საკეთილოდ მეჩვენა, თუ იგი განხორციელდა ისე, როგორც წესდებაშია ნათქვამი. წოდებრივობა განდევნილია წესდებიდან. რამდენადაც მახსოვს, წაკითხულ „წესდებაში“ მილიციის ორგანიზაციაზე კრინტი არაა დაძრული. სჩანს, ერთი სხვაა, მეორე სხვა. თუ ვცდები ამაში, ორგანიზატორები ერთისა და მეორისა იტყვიან მართალს.

თავად-აზნაურთა რაზმის გაჩენის მიზეზი, როგორც მიამბეს, ისაა, რომ „თავი დაიცვან“ მავნე და ბოროტ კაცებისაგან. არც ეს აზრი მეჩვენა „ქვეყნის დამღუპველად“. სულ სხვა ხილია, აზრს როგორ განახორციელებენ, მავნე და ბოროტ კაცად ვის აღიარებენ. ამას მომავალი და საქმე გამოაჩენს და თქვენსა და საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული, რა თვალით უყუროთ რაზმის საქციელს. ხოლო სათქმელი აქ ისაა, მე რა შუაში ვარ, ან როგორ გავითვალისწინო, რა გამოვა სხვისა საქმისა და დაწესებულებიდან? თანაგრძნობაც რომ მიქონდეს ვინმეს, მაინც საბუთი არავისა აქვს „მილიციონერად“ გამომიყვანოს სარბიელზე.

შეძენილის „ცოდნით“ დავბრუნდი ტფილისს. ამ დღიდან გაგონითაც არა გამიგონია-რა რაზმის მოღვაწეობაზე იმის მეტი, რასაც თქვენსა და სხვა გაზეთებში ვკითხულობდი, რაც მე შევიძინე შემთხვევით, გაგონითა და მოსმენით, თქვენც გექნებათ მოსმენილი. მაშ რად მავალებთ, რომ უსათუოდ მე მოვახსენო საზოგადოებას მილიციის დაარსების საგანი? რაზმს ჰყავს მეთაურნი და გამგენი, გამოჰკითხეთ იმათ, წერაც იციან და კითხვაც და, დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვიან დააკმაყოფილონ თქვენი და საზოგადოების კანონიერი ცნობის-მოყვარეობა.

კატეგორიულად ვიმეორებ, ბ. რედაქტორო, რომ „მილიციის“ ორგანიზაციაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც იმის მოქმედებაში ვიღებ მონაწილეობას. ვსწერ ამას და თან ღიმილი ვერ მომიშორებია პირიდან *).

ა. ყიფშიძე.

II

კავკავის ქართულ სკოლის სამზრუნველო კომიტეტი უღრმესს მადლობას უძღვნის რუს მცირე როსიულ ტრუპის გამგეს სტეფანე ალექსანდრეს ძეს გლაზუნენკოს და ანასტასია ერმოლოზის ასულს ბელიაევას, რომელთაც კეთილ ინებეს და თავიანთი შრომით და ოფლით აღებულის მცირე შემოსავლიდან კავკავში შემოსწირეს სკოლას 50 მანათი.

კავკავის სკოლის გამგე-მასწავლებელი ლ. ბოცვაძე.

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

1 ივნისი.

სიტიაზა, 1 ივნისი. მანდარინის გზის აღმოსავლეთით ტანგუიუშანისა და ანდალუნის უღელტეხილისაკენ 28 მაისს იაპონელებმა პატარ-პატარა რაზმების იერიში მოტანა დაიწყეს. ცდამ ამაოდ ჩაიარათ, 29 მაისს ჩვენმა მზვერავებმა მანდარინის გზის აღმოსავლეთით მიდამოები დაზვერეს. საპასუხო სროლის დროს ორი ჯარის-კაცი და ორი ცხენი მოგვიკლეს, ერთი აფიცერი და ცხრა ჯარის-კაცი დაგვიჭრეს. ხმა დადის,—იაპონელები ჩვენს მარცხენა ფრთეს გამოელაშქრებიან. აქ თავს უყრიან სურსათსა და საომარ მასალასაო.

ვაშინგტონი, 1 ივ. (რეიტ.). ოფიციალურად იუწყებიან, რუსეთისა და იაპონიის აზრით, რწმუნებულთა შესახვედრად ვაშინგტონი, ჰააგა და ჟენევა მოხერხებული ადგილებიაო.

ტოკიო, 1 ივ. იაპონიის ფლოტის ზარალი ამ ომის დროს შემდეგია: მოკლულია 221 აფიცერი და 1782 მატროსი; დაჭრილია 170 აფიცერი და 1497 მატროსი.—კონსტიტუციონალისტთა და პროგრესისტთა პარტიების მეთაურებს 30 მაისს ბჭობა ჰქონდათ ზავის შესახებ. მათმა დელეგატებმა გუშინ კაცურა ინახულეს და დიდხანს ებაასნენ ზავისა და პარლამენტის საგანგებო კრების მოწვევის შესახებ. კრებას კამიმურაც დაესწრო.

მოჯი, 1 ივ. მანჯურიაში დიდი ავდარი დაიწყო. გზები გაფუჭებულია, მაგრამ ბრძოლას ეს ხელს არ შეუშლის რამდენისამე დღის შემდეგ მოსალოდნელია დიდი ბრძოლა. ლინევიჩს ჰყავს 300 ათასი სალდათი და აქვს 400 (?) ზარბაზანი.

პეტერბურგი, 1 ივნისი. მანჯურიის ჯარის სასანიტარო ნაწილის უფროსი, სენატორი ტრეპოვი, ამ თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა.

ვაშინგტონი, 1 ივნისი (რეიტერი). ამ საღამოს პრეზიდენტ რუზველტმა განაცხადა, ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკებას ვერაფერი დააბრკოლებსო.

ვაშინგტონი, 1 ივნისი (რეიტერი). პრეზიდენტმა გრაფ ლამზდორფის ნოტა გადასცა იაპონიის ელჩს, რომელმაც მისი შინაარსი დეპეშით აცნობა ტოკიოში. პრეზიდენტი ყოველ წუთს მოელის იაპონიის პასუხს. გერმანიის ელჩი დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკების საქმეს შეძლების გვარად დააჩქარებენ და ამის გამო რამდენისამე დღით ბერლინს წავიდა.

ბერლინი, 1 ივნისი. „კელნიშე—ცეიტუნგ“-ის კერძო დეპეშა ხაილუნჩენიდან იუწყება: იაპონიის რაზმმა მანდარინის გზაზე, შაბათს, რუსებზე იერიში მიიტანა და უკან დაახევინა. იმავე წყაროდან ხმა გამოვიდა, რომ რუსეთ-იაპონიის ზავი ასე მალე ვერ ჩამოვარდება, რადგან მოწინააღმდეგე მხარეები უნდოთ ეკიდებიან ერთმანეთსაო.

ტოკიო, 1 ივნისი. ამბობენ, იაპონიამ სასურველად იცნო, ზავის მოლაპარაკება ბრძოლის ველთან სადმე მახლობლად მოხდესო. იაპონიას რწმუნებულნი ჯერ არ დაუნიშნიაო.

პეკინი, 1 ივნისი. იაპონიამ ჩინეთს რომ სინმინტინის ვოკზალი ჩააბარა, სარკინიგზო რკინეულობა ჩრდილოეთისკენ გაჰზავნა, სადაც ლიანდაგის გაყვანას აპირებდა. ჩინეთმა უკმაყოფილება გამოუცხადა, ნეიტრალიტეტს არღვევ მაგითაო. ამისთვის იაპონიამ შესცვალა წინანდელი გეგმა და ნეიტრალურ მიწა-წყალზე აპირებს ახალი გზის გაყვანასაო.

2 ივნისი.

ბერლინი. „ფრანკფ. ცეიტუნგ“-ში დაბეჭდილია იაპონელთა გაზეთების აზრი ზავის შესახებ: „ჯი ჯიმიმო“ ამბობს, ოპტიმიზმი არ გამოგვადგებაო. „იომირი“ სწერს, დიპლომატია სანდო არ არის და დროებით ომის შეწყვეტა ჩვენთვის მავნებელი იქნებაო. „ხიკაო“ დიდ სიფრთხილეს ურჩევს იაპონელებს.—მოლაპარაკების ადგილად დალნის ამჯობინებენ. გრაფი ოქუმაც ომის შეჩერების წინააღმდეგია და, პირიქით, ენერგიულად უნდა განვაგრძოთო. პროფესორი ტაკაში მორიგების მომხრეა, ხოლო ზავი მაშინ უნდა დავდოთ, როდესაც რუსეთის სამფლობელოს დავიჭერთო—ხარბინს, სახალინსა და ვლადივოსტოკს. პროგრესიული გაზეთი „ხიხი“ ამბობს, თუ მთავრობა სამშვიდობო მოლაპარაკებას აპირობს, მაშინ საზოგადოების აზრმა ხელი უნდა შეუშალოსო. ოფიციალური „კუკუმინი“ იმ აზრისაა, რომ ჯერ ზავი შორს არის.

ვაშინგტონი. რუსეთი პარიზს არჩევს სამშვიდობო მოსალაპარაკებლად, იაპონია კი—ჩიფუს.

გუნჯულინი. უკანასკნელ სამს ღამეს ხუნხუზები ხუთჯერ დაეცნენ ჩვენს მზვერავებს გუნჯულინსა და ფანგიატუნს შორის. უკანასკნელად ერთი კაზაკი მოჰკლეს და ერთიც დასჭრეს. ხუნხუზთაგან ოთხია მოკლული.

პარიზი. დღეს მარსელს მოვიდა მადაგასკარის გუბერნატორი გელიანი. რუსეთის ესკადრის ყოფნის შესახებ მადაგასკარის ნაპირებთან გუბერნატორმა სთქვა, იაპონელებმა დიდი უნარი გამოიჩინეს რუსეთის ესკადრის თვალყურის დევნაში.

ვაშინგტონი. დიპლომატების სიტყვით, სამშვიდობო მოლაპარაკებას ხელს არა უშლის-რა. თუმცა ბევრი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ იაპონია ვერ დაუკმაყოფილებია რუსეთის პასუხს, რომელიც რუზველტს მიუღია და ტოკიოში გაუგზავნია. მოელიან, რომ იაპონია მალე აცნობებს რუზველტს თავის აზრს ამ საგნის შესახებ. ამბობენ, რუზველტი გულმოდგინედ ცდილობს დროებით შეწყდეს ომიო.

მოჯი. მანჯურიაში ავდრიანობის ხანა დაიწყო, ხოლო გზების უვარგისობა ომს ხელს ვერ შეუშლის. მალე დიდი ამბები უნდა მოხდეს.

მოსკოვი, 1 ივნისი. მოსკოვში მცხოვრებმა შეძლებულ გლეხებმა გადასწყვიტეს, გამოსცენ მოსკოვში ყოველ დღიური გაზეთი გლეხთა ინტერესების დასაცველად.—საქალაქო ტრამვაის ორმა პარკმა მუშაობა შესწყვიტა. სხვები მუშაობენ. დარწმუნებულნი არიან, რომ გაფიცვა ჩქარა გათავდება.

მოსკოვი, 1 ივნისი. ბ-ნმა კრესტოვნიკოვმა, მოსკოვის საბირჟო საზოგადოების იმ კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც მუშათა საკითხებს იკვლევდა, ფინანსთა მინისტრისაგან შემდეგი უწყება მიიღო. იმ კომისიის განცხადება, რომელიც ეხება მუშათა კითხვას და სავაჭრო გადასახადების მოწეს-რიგების საქმეს, 18 თებერვალს გამოცემულ ბრძანების განზრახულებათა შესრულებისა გამო, 26 მაისს მე უქვეშევრდომილესად მოვახსენე მის იმპერატორებით უდიდებულესობას. მან კეთილ ინება და მიბრძანა შეგატყობინოთ თქვენ, სავაჭრო-სამრეწველო წოდების წარმომადგენლებს, რომ 18 თებერვლის ბრძანებაში გამოთქმულ უმაღლეს ნების განხორციელება შეადგენს მის უდიდებულესობის პირველ საზრუნავს.

კიევი, 1 ივნისი. 18 თებერვლის რესკრიპტის თანახმად შემდგარმა კომისიამ დაადგინა: სთხოვოს საბჭოს,—შუამდგომლობა აღძრას ხელმწიფის წინაშე, რომ ხალხის წარმომადგენლები დაუყოვნებლივ მოიწვიონ. სამოსამართლო პალატამ 19 წლის კისს და ნებრატს პროკლამაციების გავრცელებისათვის თითო წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

ლონდონი. „დეილი ექსპრესი“ ამბობს, ინგლისის ჯარი წელს მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილაო. საავადმყოფოებში მიუყვანიათ 183,598 ჯარის-კაცი, რაც საერთო რიცხვის ნახევარზედ მეტს შეადგენს. 4,922 დაუთხოვნიათ სამსახურიდან ავადმყოფობისა გამო. ამათ გარდა 11,25 კაცი დასნეულებულა და სამხედრო სამსახურისათვის უვარგისიათ.

მოსკოვი. ელექტრონის ტრამვაის მოსამსახურენი გააფიცნენ.—ქალაქის სამმართველოს-მიერ შემუშავებულ პროექტით, საერთო წარმომადგენლები 840 ადგილს უნდა აირჩიონ.

მოსკოვი. გადიწვა სამ-სართულიანი სახლი საქონლითურთ ბახრუშინის სამაუდო ფაბრიკისა.

სტოკჰოლმი. მეფემ მოწოდება გამოსცა, რომელშიაც მადლობას უცხადებს თვის ერთგულ ქვეშევრდომებს და ჰკიცხავს ნორვეგიის რევოლუციონურ მოქმედებას.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) **ტფილისში მოდის:**

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) **ბაქოდან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ. 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

---

*) სრულიად უალაგოა ბ-ნ ა. ყიფშიძის „ღიმილი“ და ჩვენდამი მიმართული საყვედური. მთელი ქართლი ლაპარაკობდა, რომ იგი მილიციის გამგე კომიტეტის წევრიაო. გაზეთებშიაც გამოაცხადეს ამგვარი მისი მონაწილეობა: „ახალ მიმოხილვაში“, „მოგზაურში“ და, ვგონებთ, სხვებშიაც. ეს ლაპარაკი ესმოდა თვითონ ბ-ნ ყიფშიძეს ისე, როგორც ჩვენ და სხვასაც, მაგრამ მან კრინტი არ დასძრა, სანამ პირდაპირ არ მოვითხოვეთ მისგან განმარტება. მხოლოდ ჩვენ მისგან არ მოგვითხოვია იმისი ახსნა, თუ როგორ დაარსდა „მილიცია“ და რა გზას ადგია იგი,—ეს ჩვენ უმისოდაც კარგად ვიცით. გვიკვირდა მხოლოდ, რომ ბ-ნი ყიფშიძე, როგორც გვარწმუნებდნენ, მონაწილეობას იღებდა მილიციის საქმეებში. ამის შემდეგ უნდა ვიფიქროთ—მილიციონერები ამოშლიან თავიანთ სიიდან ბ-ნ ყიფშიძეს და ამგვარად ამ უკანასკნელს, თუ იგი მართლა არ თანაუგრძნობს მილიციას, ჩვენთვის მადლობის მეტი არა ეთქმის-რა. რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 іюня 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.